# ჰეი იერუსალიმო, მოგესალმები!



დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა
საბავშვო წიგნები

ჰეი იერუსალიმო, მოგესალმები!

მრჩეველი : პროფ. დრ. ჰურიე მართი
გამოცემის ხელმძღვანელი : დრ. ფარუქ ქურთ
გამოცემის კოორდინატორი : დრ. ფარუქ გორგულუ
რედაქტორი : ესმა გუნერ
შესწორება : რამაზან ოზალფდემირ
გრაფიკა & დიზაინი : ალი ჩინქი
ქართულად თარგმნა : ნინო კახაძემ
ქართული გრაფიკა : ბილალ ილქაი

მე-3 გამოცემა, ანკარა 2018
ნაშრომის განმხილველი კრების გადაწყვეტილება

სერტიფიკატის ნომერი : 12931

# გამარჯობა,

წლებია უკვე, რაც „დარუ'ს-სელამის“ ანუ „სიმშვიდის, ჰარმონიის სამშობლოს“, იერუსალიმის სახელს დაპყრობისა და ცრემლნარევი სიტყვების გარეშე ვერ გავიგონებთ.

იერუსალიმი წმინდა მიწაა, სადაც რამდენიმე შუამავალი ცხოვრობდა. ჩვენი შუამავლის, ჰზ. მუჰამმედ მუსტაფას (ს.ა.ვ.) მირაჯისკენ ამაღლებით, ამ წმინდა ქალაქმა განკითხვის დღემდე ჩვენს, მუსლიმების გულებში წარუშლელი კვალი დატოვა.

იერუსალიმი ჩვენი თვალის ჩინია. ჩვენი ბაბუებიც ასე მიიჩნევდნენ და ამ ქალაქს ისე უფრთხილდებოდნენ, როგორიც ძვირფას ამანათს.

ეს წიგნი ჩვენს ცოდნას იერუსალიმზე აამაღლებს, იერუსალიმის მიმართ სიყვარულს გააღრმავებს და იერუსალიმთან ჩვენს კავშირს კიდევ უფრო განამტკიცებს. ამ წიგნის წყალობით იერუსალიმს უფრო ახლოს გავიცნობთ.

ალლაჰს შევევდროთ, რომ „სიმშვიდის, ჰარმონიის სამშობლოდ“ წოდებული, ის მოსაგონარი დღეები ისევ მალე დადგეს.

# სარჩევი


გამარჯობა 3

ღამაზი საქციელი იერუსალიმისთვის 6

შუამავლების სამშობლო, პალესტინა 8

იერუსალიმის ლექსიკონი 12

ისტორიული მოგზაურობა იერუსალიმში 14

ისრაელის შვილები ყურ’ანში 18

იცოდით თუ არა, რომ... 22

პანზალა 26

სახელივით წმინდა ქალაქი იერუსალიმი 28

ის თუ ამბობს, სიმართლე იქნება 30

იერუსალიმის დამპყრობელი, პაზრეთ-ი ომერი 32

ნამგალა ფრთიანი ბავშვები 35

იერუსალიმის მეორე დამპყრობელი, სელაჰადდინ-ი ეიუბი ..... 36

თორმეტი ათასი გული ..... 40

შენს ბაღში ადგილი გამომიყავი ..... 43

ჩვენი პირველი ქიბლა (ორიენტაცია) ..... 44

ზღბაზდზყა ..... 48

მუსლიმი, თურქი სახელმწიფოები,
რომლებიც იერუსალიმს მიეხმარნენ ..... 50

ბებიამ შვილიშვილს ხელი ჩაჭიდოს და გაეშუროს იერუსალიმისკენ ..... 54

მამა, შუქი აინთება? ..... 56

მოგზაურობა მტრედის ფრთაზე ..... 60

რას ნიშნავს ჩვენთვის იერუსალიმი? ..... 64

ვედრება ..... 67

# ლამაზი საქციელი იერუსალიმისთვის

რაიმე დახატე. აი მაგალითად იერუსალიმის კარიკატურა.

რაიმე კარგი განიცადე, სიკეთე გაავრცელე, თავისუფლებაზე იმღერე.

ჩიტი იყოლიე. ამ ჩიტს გალიაში ნუ ჩასვამ, გაუშვი, თავისუფლად ინავარდოს, იერუსალიმისთვის იფრინოს. გაფრინდეს და ცა ჩიტებით აივსოს.

ჰანზალასთან ერთად გაიარე. იერუსალიმისთვის, იერუსალიმის მოსაგონებლად.

ლექსი დაწერე.

მშვიდობიანი გაზაფხული მოსულიყოს შენს ლექსთან ერთად.

სხვას სიკეთე გაუკეთე. იერუსალიმის სასარგებლოდ სიკეთე გააკეთე. დაე ეს სიკეთე მთელ მსოფლიოში გავრცელდეს.

ყოველ ღამე, დაწოლის წინ ჩვენი წმინდა რელიქვიებისთვის წიგნი წაიკითხე.

ყოველ ღამე, ერთსა და იმავე დროს იერუსალიმისთვის წამოდექი, საუკეთესო ტანსაცმელი ჩაიცვი და შეევედრე.

ლოცვისას გაიხსენე, რომ პირველი ქიბლა მესჯიდ-ი აქსა იყო.

ძვირფასი შუამავლის მირაჯი გაიხსენე და პატივი ეცი.

ცას შეხედე და მასზე არსებული იერუსალიმის სურათი დაინახე.

იოცნებე. შენს საოცნებო სამყაროში თავისუფალი იერუსალიმიც იყოს.

ნუ მოაშორებ თვალებს იერუსალიმს. ნუ დაიმეგობრებ მათ, ვისაც მისი განადგურება სურთ.

ბავშვებისთვის ფიანი გააკეთე. ფიანი ააფიინე. იეჩუსალიმის სუჩათი იყოს ამ ფიანზე.

სული განმინდე. იეჩუსალიმის მტჩების ხელებიდან, ენიდან და ფიქჩებიდან განმინდე.

უცხოებს განცვიფჩებული ნუ შეხედავ.

შენიანს ნუ დაამცჩიჩებ. შენ ხაჩ ლამაზი ადამანი, შენ!

ნუ გაუცხოვდები.

შენს მიწა-წყალს ეპატჩონე.

შენი წინაპიჩების მიწებსაც ეპატჩონე. შენი წინაპიჩების მიწები შეისწავლე.

შენს ისტოჩიას ნუ დაივიწყებ, კაჩგად გახსოვდეს.

თვალები კაჩგად გაახილე, ნუ დაბჩმავდები.

მე და შენ შეიძლება ყველანაიჩად გვიღალატონ. ნუ მოტყუვდები, ნუ მოვტყუვდებით.

აჩ მოვტყუვდებით.

ჩვენ იეჩუსალიმს ვეკუთვნით, იეჩუსალიმი ჩვენ გვეკუთვნის. აჩ დავივიწყებთ, აჩც სხვას დავავიწყებთ.



# შუამავლების სამშობლო, პალესტინა

სამშობლო, სადაც 40 საუკუნის წინ, ალლაჰის ძვირფასი მეგობარი, ჰზ. იბრაჰიმი (აბრაამი) და კიდევ მრავალი შუამავალი ცხოვრობდა და ალლაჰის ერთობის დასამტკიცებლად იბრძოდა.

პატარა იუსუფი (იოსები), რომელიც ძმებმა ჭაში ჩააგდეს, აქ ცხოვრობდა. მამა შუამავალი, იაყუბი (იაკობი), რომელსაც შვილი იუსუფის დარდით თვალებზე ფარდა ჩამოეფარა, აქ ცხოვრობდა. ამ ძვირფასი მამის თვალებმა მონატრებული, ლამაზი და განსაკუთრებული შვილის პერანგის სურნელით დაიბრუნეს დღის სინათლე...

სამართლიანმა მმართველმა, თალუთმა, რომელმაც მცირე ჯარით ძლიერი მაგრამ დაუნდობელი მეფის, ჯალუთის არმია დაამარცხა და იერუსალიმი დაიპყრო, სწორედ ამ მიწებზე გაიარა. ახალგაზრდა დავუდი, რომელმაც გაქნეული რიყის ქვით ჯალუთი წააქცია და დაამარცხა, ამ ქვეყანაში ცხოვრობდა. ძვ.წ. მე-1000 წელს მართავდა დავუდ შუამავალი პალესტინას. მის წაკითხულ ზებურის აიებს (ფსალმუნებს) ისმენდნენ მთები, ქვები, ფრინველები და ამ ქვეყნის ქუჩები...

ჭიანჭველების, ფრინველების, ქარის, ჯინებისა და ადამიანებისთვის გამოგზავნილი მმართველი, სულეიმან (სოლომონ) შუამავალი ცხოვრობდა აქ... სულეიმანს, რომელსაც ჩიტების ენა ესმოდა, ეძრი ჰყავდა, „ჰუდჰუდი" სხვაგვარად „ჰოოპის ჩიტი".  სულეიმანის ვეზირმა, ასაფმა, სებე მეფის ქალის ბელქისის ტახტი, ათასობით კილომეტრის მოშორებით, თვალის დახამხამებაში, იემენიდან იერუსალიმში ჰზ. სულეიმანს ჩამოუტანა. გამჭვირვალობის გამო ბელქისს წყალი ეგონა და ჰზ. სულეიმანის კრისტალის სასახლეში კალთებ აწეული შევიდა...

მოიცადეთ, ჯერ არ დასრულებულა...

მამა-შვილი შუამავლები, რომლებიც ისრაელის შვილებმა შაჰიდად აქციეს...

სამოთხის ქალების სათავეში მყოფი მერიემი, რომელსაც მესჯიდ-ი აქსას განსაკუთრებულ სამყოფელში ყოფნისასაც სამოთხიდან ხილი ჩამოსდიოდა და ქირ რომ მოვიდა, სასწაულებრივად უმამოდ შვილი გააჩინა...

ძვირფასი შუამავალი ისა, რომელიც ჯერ კიდევ აკვანში ალაპარაკდა, ხალხს სწორედ ამ მიწაზე მოუწოდა სიკეთის, სამართლიანობისა და რწმენისაკენ...

და ბოლო შუამავალი, პწ. მუჰამმედ მუსტაფა (ს.ა.ვ.), რომელიც ერთი ღამის მგზავრობისას მექადან იერუსალიმში გადმოიყვანეს და მესჯიდ-ი აქსადან ცაში აიყვანეს...

ყოველი მათგანი ამ მიწა-წყალზე ცხოვრობდა... მრავალი შუამავალი, რომლის სახელებიც ჩამოვთვალეთ და რომლის სახელებიც ვერ ჩამოვთვალეთ... ეს სასწაულებრივი და წმინდა სამშობლოა, ეს იერუსალიმია...

შეუფასებელი სიძვირფასის, წმინდა ქალაქია. ბოლო შუამავლის, პწ. მუჰამმედის (ს.ა.ვ.) წინაპრების სამშობლო, ისლამის პირველი ქიბლა... მესჯიდ-ი ჰარამისა და მესჯიდ-ი ნებევის შემდეგ მესამე სათაყვანო ადგილი მესჯიდ-ი აქსამ დაიჭირა...

14.000 წლიანი, ღამის კაცობრიობის ასაკის, ისტორიის მანძილზე მრავალი მწამებლისა და წამებულის მხილველი გახდა. ოცდახუთზე მეტჯერ სხვადასხვა ხელში გავლის შემდეგ, თხუთმეტზე მეტჯერ სრულიად დანგრევის შემდეგ ისევ აშენდა ეს განუყოფლად ძვირფასი ქალაქი...

ეს ძვირფასი ქალაქი არც ერთი დამპყრობლის სავანე გამხდარა და დავუდ შუამავლის მსგავსად, თანამედროვე ტექნოლოგიის დამპყრობლის წინააღმდეგ მამაცი და შეუპოვარი ახალგაზრდების ვიდრე გვეყოლება, არასოდეს გახდება დამპყრობლის კერა.

„პალესტინა მუდამ არსებობდა და პალესტინა მუდამ იარსებებს"...

მოგესალმები წინაპრების სამშობლოვ, ძვირფასო ქალაქო იერუსალიმო...

სალათსა და სალამს ვუძღვნით ალლაჰის წმინდა ელჩებს, ჰზ. იბრაჰიმს, ჰზ. ისჰაქს, ჰზ. ისმაილს, ჰზ. იაქუბს, ჰზ. იუსუფს, ჰზ. მუსას, ჰზ. დავუდს, ჰზ. სულეიმანს, ჰზ. ზექერიას, ჰზ. იაჰიას, ჰზ. ისას და სხვებს...

პალესტინის განსაკუთრებულ ქალებს ვესალმებით, ჰზ. მერიემს და მის დედას ჰანნეს, ჰზ. ისმაილის დედას, ჰაჯერის და ისჰაქ შუამავლის დედას სარეს...

სალათსა და სალამს ვუძღვნით ერთ ღამეში მექაში არსებული მესჯიდ-ი ჰარამიდან იერუსალიმში არსებულ მესჯიდ-ი აქსაში გადასულ, იქედან კი ცაში ამაღლებულ, ბოლო შუამავალს, ჰზ. მუჰამმედ მუსტაფას...

და ბოლოს, ვესალმებით ომის ამაყსა და უცოდველ ბავშვებს, ჰანზალას, ფევზი ელ-ჯუნეიდის, აჰედ ეთ-თემიმისა და მუჰამმედ ეთ-თავილს...





# იერუსალიმის ლექსიკონი

პალესტინა: ქვეყანა, რომელიც ქვის მსროლელ ტანკებს წინ აღუდგა. დედაქალაქი და მისი გული მუდამ იერუსალიმია.

იერუსალიმი: მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძველი ქალაქია, რომელსაც პოეტმა „ცაში შექმნილი და ხმელეთზე ჩამოტანილი ქალაქი“ უწოდა. გასაოცარი ადგილი, სადაც მრავალ შუამავალს გაუვლია.

მესჯიდ-ი აქსა: პირველი ქიბლა, რომლისკენაც ლოცვის დროს პირს ვიბრუნებთ. შუამავლების ნავსაყუდელი. ჩვენი თვალის ჩინი.

ბეითულმაქდის: სიტყვის მნიშვნელობა- წმინდა სახლი. ქალაქი და მისი შემოგარენი იერუსალიმში, რომელშიც მესჯიდ-ი აქსაც მოქცეულია.

ქუბბეთუ'ს-საჰრა: წმინდა ნაგებობა, რომლის გალავნის ქვეშაც ჩვენმა შუამავალმა ფეხი დააბიჯა და ცად ამაღლდა და რომელშიც „ჰაერში გამოკიდული ლოდი“ მდებარეობს.

ისრა: სიტყვის მნიშვნელობა- ღამის გასეირნება. ჩვენი შუამავლის ერთ ღამეში მექაში მდებარე მესჯიდ-ი ჰარამიდან ძალიან შორს, მესჯიდ-ი აქსაში გადაყვანის საოცრება.

მირაჯი: სიტყვის მნიშვნელობა- ამაღლება. ისრას მოვლენის შემდეგ ჩვენი საყვარელი შუამავლის მესჯიდ-ი აქსადან ცაში ამაღლების საოცრება.

ბურაქის კედელი: მესჯიდ-ი აქსას გარე კედელი, რომელზეც ჩვენმა შუამავალმა მირაჯის ღამეს მისი მომყვანი, სახელად ბურაქი დააბა. იქაურ მეჩეთსაც ბურაქის მეჩეთი ჯქვია.



ქუდს-ი შერიფი: ზედსართავი, რომელსაც იერუსალიმის დაპყრობას სელაპადდინ-ი ეიუბიდან ოსმალებამდე და მას შემდეგ აწმყომდე იერუსალიმის ახსნისას გამოიყენებენ. შერიფი „ძალიან ძვირფასს“ ნიშნავს.

წარღვნის ეკლესია: ეკლესია, რომელიც ბიზანტიის იმპერატორმა, კონსტანტინემ, 335 წელს იერუსალიმში ააგებინა.

ჰანზალა: ზღაპრის პერსონაჟი, რომელიც ბოროტებისთვის ზურგშექცეულ, სამყაროზე განაწყენებულ ბავშვებს განასახიერებს. მისი და მსგავსი ჩამეების დახატვისთვის შაჰიდად ქცეული კარიკატურისტი, ნაჯი ელ-ალის გულებში მცხოვრები მხატვრული პერსონაჟი. პალესტინის დაპყრობის ამსახველი საჩვენებელი თითი.

შურდული: ქვის სასროლი იარაღი, რომელსაც დაპყრობილი ქვეყნის ბავშვი მტრის დასაფრთხობად იყენებს.

ინთიფადა: დამპყრობლის სისასტიკის წინააღმდეგ ამხედრებული დაზარალებული. ტერიტორიების დაპყრობის წინააღმდეგ პალესტინის მოსახლეობის ბრძოლა.

ღაზა: ყველაზე დიდი ქალაქი ღაზას სექტორში. პალესტინის ომის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი.

ბეთლემი: ქალაქი პალესტინაში, რომელშიც ძირითადად ქრისტიანები ცხოვრობენ.

ჰებრონი (ელ-ხალილი): ქალაქი პალესტინაშ, რომელიც ალლაჰის მეგობარმა, ჰზ. იბრაჰიმმა (აბრაამი) ააგო.

ზეთისხილი და ლეღვი: სურა თინში მტკიცედაა აღნიშნული ლეღვისა და ზეთისხილისაგან წარმოშობილი, ზეთისხილის, ზოგი სწავლულის მიხედვით ბეითულმაქდისის მთის სახელი. ეს ადგილები ამავდროულად ზეთისხილითა და ლეღვითაა ცნობილი.



# ისტორიული მოგზაურობა იერუსალიმში

## ძველი წელთაღრიცხვით

**3000:** ქანაანელების ერთ-ერთმა ტომმა ქალაქი იერუსალიმი დააარსა.

**2000-იან** წლებში ჰზ. იბრაჰიმ შუამავალი იერუსალიმის სამხრეთით, ქალაქ ჰებრონში (ელ-ხალილი) დასახლდა და როცა გარდაიცვალა, აქ დაკრძალეს.

**997:** ჰზ. დავუდ (დავით) შუამავალმა მონარქის სტატუსით ქალაქის მართვა დაიწყო.

**931:** ჰზ. სულეიმან (სოლომონ) შუამავალი ქალაქის 40 წლიანი მმართველობის შემდეგ გარდაიცვალა.

**587:** ბაბილონის მეფემ, ბუხთუნნასრმა (ნაბუქოდონოსორმა) ჯერ გაძარცვა ქალაქი, შემდეგ კი მიწასთან გაასწორა. ბაბილონის გადასახლება მოხდა.

**538:** იერუსალიმი სპარსების მმართველობას დაექვემდებარა და ბაბილონელებს გამოეყო.

**332:** მაკედონელმა ალექსანდრე დიდმა იერუსალიმი დაიპყრო.

**63:** რომაელმა მმართველმა, პომპეუსმა, ქალაქი ხელში ჩაიგდო და ქალაქის გალავნები, ციხე-სიმაგრეები გაანადგურა.



## ახალი წელთაღრიცხვით

70: რომაელმა მმართველმა, ტიტუსმა, იერუსალიმი დაიპყრო და გაანადგურა.

614: სასანიანებმა იერუსალიმი ხელში ჩაიგდეს და ქალაქში არსებული ყველა ქრისტიანული სამლოცველო გაანადგურეს.

629: ბიზანტიის იმპერატორმა, ჰერაკლემ, იერუსალიმი სასანიანებს გამოსტაცა.

638: ჰზ. ომარმა (რ.ა.) იერუსალიმი დაიპყრო.

692: უმაიას ხალიფებიდან აბდულმელიქ ბინ მერვანმა ქუბბეთუ'ს-საჰრა ააგებინა.

748: აბასიანთა ხალიფამ, მანსურმა, მიწისძვრის შედეგად დაზიანებული მესჯიდ-ი აქსა თავიდან ააგებინა.

1071: სელჩუკების მეთაური, ათსიზი, იერუსალიმში ჩავიდა და ხუთბა აბასიანთა ხალიფის ქაიმ-ბიემრილლაჰისა და სელჩუკების დიდი სულთნის, ალფარსლანის, სახელით წააკითხინა.

1099: ჯვაროსნებმა იერუსალიმი დაიპყრეს, დაარბიეს და ხალხი აწამეს.

1187: სელაჰადდინ-ი ეიუბმა (აიუბმა) იერუსალიმი დაიპყრო და ჯვაროსნებისაგან გაათავისუფლა.

1260: აინ-ჯალუტის ბრძოლაში სულთან ბაიბარს I-მა მონღოლები დაამარცხა და იერუსალიმი მამლუქების მმართველობაში მოექცა.



**1517:** იავუზ სულთან სელიმ ხანმა იერუსალიმი ოსმალეთის იმპერიაში მოაქცია.

**1798:** ნაპოლეონმა ღაზა და რამლა დაიპყრო. ჯეზზარ აჰმედ ფაშამ ფრანგები დაამარცხა და ფრანგებმა ტერიტორია დატოვეს.

**1876-1909:** სულთან აბდულჰამიდ ხან II-მ კანონები დაადგინა, რომლის მიხედვითაც პალესტინაში იუდეველთათვის ქონების მიყიდვა აიკრძალა და მათი მოთხოვნა, მიწის ყიდვასთან დაკავშირებით უგულებელყო.

**1917:** 9 დეკემბერს იერუსალიმი ოსმალეთის იმპერიას გამოეყო, გაერთიანებული სამეფოს მმართველობაში გადავიდა და დიდი ხნის მანძილზე გაერთიანებული სამეფო მართავდა. ამ დროიდან მოყოლებული გაიზარდა ტერიტორიაზე იუდეველთა რიცხვი.

**1947:** გაერო პალესტინის ორად გაყოფა დაამტკიცა. იერუსალიმის დასავლეთი ისრაელში დარჩა.

**1948:** 14 მაისს ისრაელის დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

**1967:** დასავლეთ იერუსალიმი, ღაზა და მდინარე იორდანეს დასავლეთი ექვს დღიანი ომის შემდეგ დაიპყრეს და ამის შემდეგ ამ ტერიტორიაზე იუდეველების დასახლებამ კიდევ უფრო იმატა.

**1974:** გაერომ პალესტინას თავისუფლება მიანიჭა.

**1978:** ისრაელმა სამხრეთ ლიბანი დაიპყრო.

**1982:** საბრასა და შატილას ლტოლვილთა დაჯგუფებებზე განხორციელებული შეტაკების შედეგად ასობით პალესტინელი შეუბრალებლად დაიღუპა, ნაწილი კი დაიკარგა.



1987: 1-ლი აჯანყება ანუ დამპყრობლების წინააღმდეგ პალესტინელების წინააღმდეგობა დაიწყო.

2000: მე-2 აჯანყება დაიწყო.

2002: ისრაელმა მდინარე იორდანეს დასავლეთისა და აღმოსავლეთ იერუსალიმის გამყოფი, 760 კილომეტრიანი კედლის აშენება დაიწყო.

2014: 7 ივლისს ღაზაზე თავდასხმა და ემბარგო დაიწყო.

2014: 30 ოქტომბერს ევროკავშირის ქვეყნებიდან შვედეთმა პალესტინის დამოუკიდებლობა აღიარა.

2015: ისრაელმა ღაზას ოლქის საზღვართან 65 კილომეტრიანი კედლის აშენების პროექტი დაამტკიცა.

2015: გაეროს მთავარ ბინაში პირველად აფრიალდა პალესტინის დროშა.

2016: პალესტინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ისრაელმა იერუსალიმში ფართო მასშტაბის გათხრები აწარმოა და მიწის ქვეშ ნაპოვნი ისტორიული ძეგლები დააზიანა.

2017: 13 დეკემბერს სტამბოლში ისლამის თანამშრომლობის ორგანიზაციისაა და იერუსალიმის მოულოდნელი შეკრების შედეგად, აღმოსავლეთ იერუსალიმი პალესტინის დედაქალაქად გამოცხადდა.



# ისრაილის შვილები ყურ'ანში

მრავალი საუკუნის წინ არსებობდა ისრაილის შვილების მოდგმა და ერი. ეს ცნობილი ერია, რომელშიც შუამავლებიც იყვნენ. ისრაილი იაყუბ (იაკობ) შუამავლის მეცხვარე იყო. მისი თორმეტი ვაჟის შთამომავლობას კი ისრაილის შვილები ეწოდათ.

ჰზ. იაყუბის ვაჟი, იუსუფ (იოსებ) შუამავალი, ეგვიპტის ვეზირი რომ გახდა, ისრაილის შვილები იქ გადასახლდნენ. მკაცრი ფარაონის მოსვლამდე მშვიდად ცხოვრობდნენ. მცირე ხნის შემდეგ ეგვიპტის ფარაონმა ისინი შეავიწროვა. ჰზ. მუსას (მოსე) შუამავლობა რომ დაეკისრა, ფარაონს ალლაჰის რწმენისკენ მოუწოდა და სთხოვა ისრაილის შვილების წამებაზე ხელი აეღო. ფარაონმა ეს ყურად არ იღო. ამის გამო ალლაჰმა თანდათან ერთმანეთის მიყოლებით სასჯელები მოავლინა. ბოლოს კი ჰზ. მუსას ალლაჰისგან ბრძანება მოუვიდა, რომ მისი მიმდევრები შეეკრიბა და იქაურობა მიეტოვებინა.

ერთ ღამესაც ჰზ. მუსამ და მისმა ძმამ, ჰზ. ჰარუნმა, ისრაილის შვილებთან ერთად ეგვიპტე დატოვეს. ფარაონმა ეს რომ გაიგო, ძალიან გაბრაზდა. მათ დასასჯელად ჯარით აედევნა. წითელ ზღვამდე მივიდნენ. წინ ზღვასა და უკან კი ფარაონის ჯარს შორის მოექცნენ. გამოუვალ მდგომარეობაში იყვნენ. ალლაჰის ბრძანებით ჰზ. მუსამ (ა.ს.) თავისი კვერთხი ზღვას დაჰკრა და ზღვის უზარმაზარი ტალღები ორად გაიყო. შუაში ხმელეთი გამოჩნდა. 12 დიდი ოჯახისგან შემდგარი ისრაილის შვილები უპრობლემოდ გადავიდნენ მოპირდაპირე მხარეს.

ფარაონმა თავისი ჯარით რომ გაიარა, ზღვა შეერთდა და ყველა წყლის ქვეშ მოექცა. ფარაონს თავი დააღწიეს.

უზენაესმა შემოქმედმა ისინი რომ გადაარჩინა, უამრავი ძღვენი და გემრიელი საჭმელი გამოუგზავნა. იმათ კი წამებისგან გათავისუფლების, ნაბოძები სარჩოსა და გამოგზავნილი შუამავლისათვის მადლიერების მაგივრად, უმადურება დაიწყეს. ალლაჰის ბრძანებებს არ ასრულებდნენ, გამოგზავნილ საჭმელებს იწუნებდნენ, მოკლედ ყველაფერით უკმაყოფილონი იყვნენ. უფრო მეტიც, მათ შორის ისეთებიც იყვნენ, ვისაც ეგვიპტეში წამებაში გატარებული დღეები ენატრებოდათ.

ჰზ. მუსა და ჰზ. ჰარუნი ბოლო ამოსუნთქვამდე, დაუზარლად, ალლაჰის ბრძანებებს უხსნიდნენ. ბევრი იშრომეს, ისინი წესიერი, კეთილი და სანდო ადამიანები რომ ყოფილიყვნენ. მათ ალლაჰის სწორი რწმენისაკენ მოუწოდებდნენ. ისრაილის შვილებმა კი ამის ფასი არ იცოდნენ. შუამავლების ნასწავლ რწმენას არ უერთგულეს. წმინდა წიგნის აიები შეცვალეს. ალლაჰის გაფრთხილებები ყურად არ იღეს და სწორ გზას ასცდნენ.

ჰზ. მუსასა და ჰზ. ჰარუნის სიკვდილის შემდეგ ალლაჰმა ისრაილის შვილებს მრავალი შუამავალი გამოუგზავნა. მათგან ერთ-ერთი, დავუდი (ა.ს.), სიყმაწვილის დასაწყისში, მორწმუნეებთან ერთად დაუმარცხებელ მთავარსარდალ ჯალუთსა და მის არმიას შეებრძოლა. მათგან ვერც ერთი ბედავდა ჯალუთთან შერკინებას. მხოლოდ ჰზ. დავუდი გაიჭრა წინ. ალლაჰის სახელი წარმოთქვა და შურდულით ქვა ესროლა. დავუდმა (ა.ს.) ჯალუთი დაამარცხა.

ისრაილის შვილები უსამართლოდ მოიქცნენ, უფრო მეტიც, შუამავლებს, რომლებიც მათ სამართლის, სიკეთისა და სილამაზისაკენ მოუწოდებდნენ, არ მოუსმინეს, გაანწვალეს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ალლაჰუ თეალა უსამართლობასა და წამებას არასოდეს დაეთანხმება.

ალლაჰუ თეღალამ ჰზ. დავუდამდე და მის შემდეგაც მრავალი შუამავალი გამოგზავნა. როგორც ისრაელის შვილებისათვის, ასე ჩვენთვის გამოგზავნილი შუამავლის, ჰზ. მუჰამმედ მუსტაფას (ს.ა.ვ.) წინაპარია ჰზ. იბრაჰიმი.



ჰზ. იბრაჰიმის ვაჟიდან, ისმაილიდან (ა.ს.) დაწყებული, ბოლო შუამავლამდე, ჰზ. მუჰამმედ მუსტაფამდე ჩვენთვის უცნობი უამრავი შუამავალი მოვიდა. ჩვენ, მუსლიმები, არც ერთ შუამავალს განვასხვავებთ, ყველა მათგანის გვწამს.



# იცოდით თუ არა, რომ...

არქეოლოგიური გათხრებისა და კვლევების თანახმად, პალესტინის ისტორია 14.000 წლის წინ დაიწყო...

პალესტინის ერთ-ერთი ქალაქი, იერიხონი, ათი ათას წლიანი ისტორიით ერთ-ერთი უძველეს ქალაქთაგანია, რომელიც ახლაც დასახლებულია...

ცნობების თანახმად, პირველი ხალხი, ვინც პალესტინის ტერიტორიაზე დასახლდა არაბების წინაპრებად ცნობილი, ამალიკას ერია და ძვ.წ. III ათასწლეულიდან მოყოლებული სემის შთამომავლები არამელები, ფინიკელები, ასურელები, პალესტინელები და ებრაელები დასახლდნენ...

პალესტინელები, რომლებმაც პალესტინის ტერიტორიას სახელი მიანიჭეს, ძვ. წ. 1200 წელს განხორციელებული, მიგრაციის შედეგად დასახლდნენ ამ მიწაზე...

ჰზ. სულეიმან შუამავალმა ააგებინა პირველად ბეითულ-მაქდისი და სულთან სულეიმანის, რომელმაც ქალაქის დასაცავად ირგვლივ გალავნები ააგებინა, საპატივცემულოდ დაერქვა იერუსალიმს „სულეიმანის ქალაქი“ ...

ჩვენი შუამავლის შვილობილი ჰზ. ზეიდ ბინ ჰარისე, ჰზ. ალის უფროსი ძმა ჰზ. ჯაფერ ბინ ები თალიბი, მუტაჰის ბრძოლაში შაჰიდად დაცემული ჰზ. აბდულლაჰ ბინ რავაჰა, ჰზ. ზეიდის შვილი ჰზ. უსამე ბინ ზეიდი, ისლამის სწავლებით დაკავებული ჰზ. მუაზ ბინ ჯებელი, ბიზანტიაში ელჩად გაგზავნილი ჰზ. დიჰიეთულ-ქელბი, ორივე აქაბე ბიათზე დასწრებული და ისლამის სწავლებით დაკავებული ჰზ. უბადე ბინ სამითის მსგავსი და კიდევ მრავალი ძვირფასი ადამიანის გზა გადაიკვეთა პალესტინაში...

ჰზ. ომერმა პალესტინა და იერუსალიმი დაიპყრო. სამართლიანი ხალიფა, ჰზ. ომერი, თავად ჩავიდა ქალაქის გადმოსაბარებლად და ქალაქში მცხოვრებ ქრისტიანებს სიტყვა მისცა, რომ მათი სიცოცხლე და ქონება დაცული იქნებოდა, მათ რელიგიისა და სარწმუნოების თავისუფლება ექნებოდათ...

ჰზ. იბრაჰიმის, ჰზ. ისჰაკის, ჰზ. იაყუბის, ჰზ. იუსუფისა და მათი ცოლების სასაფლაოები პალესტინაში, ქალაქ ელ-ხალილში, ამავე სახელწოდების მეჩეთში მდებარეობს...

ალეპოსა და მოსულის მმართველი, ნურედდინ მაჰმუდ ზენგი (1146-1172), ჯვაროსნებთან ბრძოლაში შაჰიდად დაცემა ძალიან რომ სურდა და „შაჰიდ" მეტსახელი დაერქვა, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ იერუსალიმს მუსლიმები ისევ დაიპყრობდნენ და სწორედ ამ მიზეზით, ქალაქის დაპყრობამდე რამდენიმე წლით ადრე მესჯიდ-ი აქსაში დასადებლად კათედრა დაამზადებინა...

ამ კათედრის მოთავსება ძლიერ მმართველს, სელაჰადდინ-ი ეიუბის ხვდა წილად...

ისტორიული, ძველი ქალაქის, იერუსალიმის გარშემო არსებული გალავნები ოსმალეთის სულთანმა, სულთან სულეიმანმა გააკეთებინა...

ჰასეკის სულთანთა თავშესაფარი, რომელიც 1462 წელს სულთან სულეიმანის ცოლმა, ჰიურემ სულთანმა ააშენებინა, 465 წელია იერუსალიმელ ობლებსა და გაჭირვებულებს ემსახურება...

ჰზ. შუამავლის (ს.ა.ვ.) დიდი ბაბუის, ჰაშიმის სასაფლაო ღაზაში მდებარეობს...

მესჯიდ-ი აქსა, მექაში მდებარე მესჯიდ-ი ჰარამისა და მედინაში მდებარი მესჯიდ-ი ნებევის შემდეგ ისლამის მესამე წმინდა ადგილია და მესჯიდ-ი აქსა ქუბბეთუს საჰრას, ბურაქის სამლოცველოს, მერვანის სამლოცველოს, სხვადასხვა სამლოცველოების, სასწავლებლებისა და შადრევნების მსგავსი 260 სხვადასხვა ღირსშესანიშნაობის მომცველი ადგილია...

გაეროს ახლო აღმოსავლური პალესტინის ლტოლვილთა დახმარების ასოციაციის მიხედვით, მსოფლიო მასშტაბით 5 მილიონ 500 ათასი პალესტინელი ლტოლვილია, სამშობლოსგან მოშორებით ცხოვრობს და ეს რიცხვი პალესტინის 12 მილიონ 400 ათას კაციანი მოსახლეობის თითქმის ნახევარს უდრის...

ქრისტიანების მოსალოცი ადგილებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ძველი პალესტინის მუსლიმური ქუჩაზე მდებარეობს...

იერუსალიმში არსებული ყველა ქრისტიანული ღირსშესანიშნაობა ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე I-ს დედამ, დედოფალმა ელენამ განსაზღვრა, რომელმაც ქრისტიანობა პირველმა მიიღო...

მაცხოვრის საფლავის ტაძრის მართვასა და გამოყენებასთან დაკავშირებით, ქრისტიანობის სხვადასხვა მიმდინარეობას შორის არსებული უთანხმოების აღმოსაფხვრელად, ოსმალეთის დროიდან მოყოლებული წესის თანახმად, ტაძრის გასაღებები ქალაქში მცხოვრებ მუსლიმ ოჯახში შენახვა, სხვა მუსლიმ ოჯახს კი ყოველ დილით ტაძრის კარების გაღება და და საღამოს კი ჩაკეტვა დაევალა და ეს საუკუნეების მანძილზე გაგრძელდა...



პალესტინელი კარიკატურისტის, ნაჯი ელ-ალის, რომელიც იძულებული გახდა 10 წლის ასაკში სამშობლო დაეტოვებინა და ისე მოკვდა, რომ სამშობლო ვეღარ იხილა, დახატული პალესტინელი ბავშვი, ჰანზალა, პალესტინის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სიმბოლო გახდა...

ჰანზალა, რომელიც ნაჯი ელ-ალიმ პირველად 1969 წელს 10 წლის ბავშვად დახატა, მუდამ ათი წლის დარჩა, აღარ გაზრდილა და მუდამ ამ ასაკში იქნება ვიდრე ლტოლვილი პალესტინელები თავისუფლად არ დაბრუნდებიან სამშობლოში...

ჰანზალას სამშობლოს დაპყრობის საპროტესტოდ და ამ დაპყრობის შემყური მსოფლიოზე განაწყენების გამო ზურგი აქვს შექცეული და ხელები უკან აქვს გადაკვანძული. ამიტომაც, მისი სახე არავის უნახავს...

თუ იცოდით ეს ყველაფერი?



# პანზაღა

ღუჩჯი ფეხსაცმელი უნდა იყიდოს
სახე აქვს დაფაჩული პანზაღას
ფეხშიშველა ბავშვს
ექნება კი ფეხის ზომა?
შავი ღჩუბლები
ბავშვმა უნდა გაფანტოს
ჯერ ათი წლისაა
მოგონებები უხვად აქვს
მისი ერთადერთი მეგობარი
ცაზე გამოკიდული ღრუბელია...
ცას უნდა ახედოს
და მხნედ დაუდგეს
დამალობანას მოთამაშე
კვდესავით კაცებს

ცეცხლის დიდი ქვა
თამაშობს ჩუკებზე

ბავშვები ბუჩქებში ელოდებიან
იმედით სავსე ბუჩთს
მიღიონობით პანზაღა
ნაკადულივით იქნება
იჩაკჩაკებს, იჩაკჩაკებს
პანზაღა, ოჰ პანზაღა



# სახელივით წმინდა ქალაქი იერუსალიმი










-ისინი, ვინც მის ხელში ჩაგდებას ცდილობენ, მუსლიმებს უსამართლოდ ექცევიან და აწამებენ. ჩვენი მუსლიმი ძმები წლებია წვალებაში არიან, სახლებს უნგრევენ, სკოლაში ვერ დადიან, მიწას ვერ ყიდულობენ. დროდადრო მესჯიდ-ი აქსას დანგრევასაც ცდილობენ.
-ოოო, ალლაჰმა დაიფაროს! ჩვენ რა შეგვიძლია გავაკეთოთ იერუსალიმისთვის?
-ჩვენი მოვალეობა შეძლებისდაგვარად იქ მცხოვრები ჩვენი ძმების დახმარებაა. ჩვენი შუამავალი (ს.ა.ვ.) ამბობდა: „იქ რომც ვერ წახვიდეთ და ვერ ილოცოთ, ძვირფას ლამპებზე ზეთისხილის ზეთი გაუგზავნეთ.“ ამგვარად, მესჯიდ-ი აქსაში თუ ვერ წავედით, მისი სიძვირფასის გამოსახატავად რაიმის გაკეთება გვირჩია.
-მამათქვენი სიმართლეს ამბობს. ჩვენს იქაურ ძმებს მარტო თუ არ მივატოვებთ, იერუსალიმი აუცილებლად ნახავს ლამაზ და მშვიდობიან დღეებს.

# ის თუ ამბობს, სიმართლე იქნება

ალლაჰუ თეღალამ ბოლო შუამავალს, ჰაზრეთ-ი მუჰამმედს მთელი კაცობრიობის და ყველა დროის შუამავლობა დააკისრა. თუმცა მექას ის მოსახლეობა, ვინც მის შუამავლობას აპროტესტებდა, ჩვენს შუამავალს ღიად უპირისპირდებოდა და იმათ, ვისაც მისი სჯეროდა, სხვადასხვანაირად აწამებდნენ და აწვალებდნენ.

ზედიზედ განხორციელებულმა დაპირისპირებებმა ჩვენი შუამავალი (ს.ა.ვ.) ძალზე დაამწუხრა. მისი შუამავლობის მეათე წელს ამოდენა ტანჯვის შესამსუბუქებელი მგზავრობა ელოდებოდა. გარკვეული აიების საჩვენებლად და ზოგიერთი ბრძანების მისაცემად, ალლაჰმა ჩვენი შუამავალი ერთ ღამეში მექაში მდებარე მესჯიდ-ი ჰარამიდან იერუსალიმში მდებარე მესჯიდ-ი აქსაში გადაიყვანა. იქედან კი ცაში აიყვანა. მექასა და იერუსალიმს შორის მგზავრობას „ისრა“-ს, ცად ამაღლებას კი „მირაჯ“-ს ვუწოდებთ.

ჩვენი შუამავლის ერთ ღამეში მესჯიდ-ი აქსაში ჩასვლის შემდეგ ცილისმწამებლებმა ამ თემაზე საუბარი დაიწყეს. ფიქრობდნენ, რომ იმ დროინდელ პირობებში, როცა ეს გზა ცხენით ან აქლემით რამდენიმე დღეში უნდა დაგეფარა, ერთ ღამეში გადალახვა შეუძლებელი იყო და შუამავალს დასცინოდნენ. მაშინვე ჰაზრეთ-ი ებუ ბექირთან მიირბინეს. აინტერესებდათ, შუამავლის ყველაზე ახლო მეგობარი, ჰაზრეთ-ი ებუ ბექირი, რომელსაც მისი უპირობოდ სჯეროდა, ამ საკითხზე რას ფიქრობდა. როგორ მოიქცეოდა ჰაზრეთ-ი ებუ ბექირი ამ სიტუაციაში? ჰაზრეთ-ი მუჰამედის რწმენას ხომ არ დაკარგავდა და მხარის დაჭერაზე ხელს ხომ არ აიღებდა?

-შენი მეგობარი ამტკიცებს, რომ ღამით ბეითულმაქდისში წაიყვანეს. ეს იცოდი? - ჰკითხეს გადაკვრით. პაზრეთ-ი ებუ ბექირმა უპასუხა:

-ასე ამბობს?

მაშინვე მიუგეს:

-დიახ.

ამას რომ ამბობდნენ, მათ სახეებზე აღბეჭდილი ცინიკური ღიმილი პაზრეთ-ი ებუ ბექირს არ გამოპპარვია.

პაზრეთ-ი ებუ ბექირმა მშვიდად და საკუთარ თავში დარწმუნებულმა უპასუხა:

-ამას ის თუ ამბობს, სიმართლე იქნება.

ურწმუნოებმა გაოცებისგან თავიანთი ენები ღამის გადაყლაპეს. თვალებგადმოკარკლულებმა ჰკითხეს:

-შენ რა მართლა გჯერა, რომ ღამით იერუსალიმში ჩავიდა და გათენებამდე მექაში დაბრუნდა?

-რა თქმა უნდა, -მიუგო პაზრეთ-ი ებუ ბექირმა - მე ამაზე მეტისაც მჯერა. მე ვადასტურებ, რომ ის დილითა და საღამოთი ციდან ალლაჰის ბრძანებებს ღებულობს.

ცილისმწამებლებმა საწადელს რომ ვერ მიაღწიეს, პაზრეთ-ი ებუ ბექირის რწმენისა და დამოკიდებულების წინაშე გაშეშდნენ. სახეებზე დამცინავი ღიმილი წაეშალათ. როგორ შეიძლებოდა მსგავსი ერთგულება, მსგავსი ნდობა არსებულიყო?

ამ ამბის შემდეგ პაზრეთ-ი ებუ ბექირს „უკიდურესად სიტყვამართალი, ცრუილის უთქმელი, დაპირების ამსრულებელი, რისიც სწამდა და სჯეროდა, იმის უყოყმანოდ დამადასტურებელი“ აღმნიშვნელი მეტსახელი „ეს-სიდდიყ“ დაერქვა. იმ დღის შემდეგ პაზრეთ-ი ებუ ბექირი ეს-სიდდიყ სახელით მოიხსენიებოდა.

# იერუსალიმის დამპყრობელი, ჰაზრეთ-ი ომერი

საღამო იყო.

მესჯიდ-ი აქსას გარემომცველ, ვიწრო ქუჩებში ჩუმი აფორიაქება იგრძნობოდა. სამლოცველოს ირგვლივ მყოფ, ისტორიულ მაღზიებზე ნელ-ნელა მწვანე გადასაფარებელი ჩამოეხსნათ. ლოცვის დრო ახლოვდებოდა. ეზანის მომლოდინენი საუბრით, აქსას ბავშვები კი თამაშით გართულიყვნენ. როგორც ყოველთვის, მხიარულად დარბოდნენ. ნელმა სიომ ზეთისხილის ხეების ფოთლები შეარხია. სწორედ ამ დროს შორიდან გოგონას ხმა მოისმა:

-ომერ! ომერ! სად ხარ?

უზარმაზარ ქალაქს გული შეუტოკდა. ეს ქალაქი ხომ ამ სამყაროში არსებული ქალაქებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. მას „ხსნის, გადარჩენის სამშობლო“ უწოდეს. მის სიწმინდესა და ბარაქას ცა დაემოწმა.

-ომერ!

ამ სახელის ყოველი გაგებისას მღელვარება იპყრობდა. ის დღე, იმ დიადი ომერის მოსვლის დღე გაახსენდა. როგორი შთამბეჭდავი სიარულის მანერა, როგორი მტკიცე აღნაგობა ჰქონდა. არადა მანამდე ამ ქალაქის კარებიდან რამდენი კაცი შემოსულა.



ყველას თავისი გულის ნადები მოჰქონდა და ქალაქის შუაგულში აპირქვავებდა. ნდობის სამშობლო იყო და მისი სახელი ტკივილით, წამებითა და სისხლით ამოსვარეს. იმათ, ვინც მისი ფასი არ იცოდა, განვითარების მაგივრად დაანგრიეს და გაანადგურეს, საკუთარი თავის გარდა ყველას სიცოცხლის უფლება წაართვეს...

ეს ისტორიული
ქალაქი ზოგჯერ
გაიძარცვა,
ზოგჯერაც
სიბნელეში
ჩაიძირა.



მასში მცხოვრები ხალხის ტკივილმა ისიც ღრმად დაჭრა.

იერუსალიმმა სხვა რელიგიების წარმომადგენლებსაც უმასპინძლა, მაგრამ ყველაზე მშვიდი დღეები მუსლიმების ხელში ყოფნისას ჰქონდა. მისი ლამაზი დღეები ჰზ. ომერთან ერთად დაიწყო. მშვიდობით სავსე კალთით მოვიდა ომერი (რ.ა.). იერუსალიმმა ჰზ. ომერის წყალობით დაიბრუნა თავისი ნამდვილი სახე. იერუსალიმის სიყვარული ამას მოითხოვდა. ადამიანი თავისთვის ძვირფასს აწყენინებს? მას ზიანს მიაყენებს?

ხალხი მის მოსვლას დიდი ზარზეიმით შეეგება, ხალხმრავლობა იყო, მხიარული სანახაობებით დახვდნენ. ეს კაცი, რომლის მოსვლამაც ყველა გაახარა, აქამდე მოსულებისგან განსხვავდებოდა. ისლამური ჯარის მთავარსარდალი იყო, მაგრამ ქალაქში ცხენით კი არა, ქვეითად შევიდა. ცხენს ფეხები დაუზიანდა და მასზე დაჯდომა ალარ ისურვა. მეღინადან ჩამოვიდა, დაღლილი იყო. მისთვის ძლიერი ცხენისა და ახალი ტანსაცმლის ჩუქება უნდოდათ. საჩუქრები არ მიიღო.

გამარჯვება საკუთარ თავს კი არა, ისლამს მიუძღვნა. ღრმა პატივისცემით შემოიარა ქალაქი. ადგილი მოინახულა, საიდანაც ჩვენი ძვირფასი შუამავალი მირაჯისთვის წავიდა.

ქრისტიანებისთვის წმინდა, მაცხოვრის ტაძრის მონახულებისას ლოცვის დრო მოვიდა. ეკლესიაში მომუშავე რელიგიური პირების დაჟინების მიუხედავად იქ არ ილოცა. გარეთ გავიდა და ეკლესიის გვერდით, ცარიელ ადგილას ილოცა. როცა ჰკითხეს ასე რატომ მოიქცა, უპასუხა:

–მე იმ ეკლესიაში ნამაზი რომ მელოცა, მუსლიმები მის მეჩეთად გადაქცევას მოისურვებდნენ.

ეკლესია არ დაანგრევინა და მის ადგილას მეჩეთი არ ააგებინა. რწმენასა და ღვთისმსახურებას პატივი ეცა. ის ჰზ. ომერი იყო, რომლის სამართალიც ყველას მოიცავდა. მისი ეს სიტყვები, ისევე როგორც მისი საქმეები, ისტორიაში შევიდა.

იერუსალიმის მოსახლეობა მას მუდამ სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებდა.

# ნამგალა ფრთიანი ბავშვები

ვევედრებოდი
ისეთი ხელი მქონოდა
გამეწვდინა ლურჯი ცისკენ
ღრუბელს მოვწყვეტდი
ახდენას ველოდი

მეგობარი რომ არ მომკვდარიყო
აქ რომ ყოფილიყო
ხეს ჩავჭიდებდი
იერუსალიმზე ვიოცნებებდი
შაპილიან მიწებზე

შურდულის ქვები
ნამგალას ფრთებიდან
მწვალებლებს რომ დაცემოდათ
ახლანდელი სპილოები
ანუ თვითმფრინავები და ტანკები
გაჩუმდებოდნენ სამარადჟამოდ
ამ ჩვენს მიწაზე

და პალესტინა თავისუფალი რომ ყოფილიყო
ბავშვების სიმღერას
ნაცრისფერ ხმაურზე
რომ გაემარჯვა
მეც დავინახავდი მომღიმარს დედას

# იერუსალიმის მეორე დამპყრობელი, სელაჰადდინ-ი ეიუბი

მოსულში, ალეპოსა და დამასკოში სელჯუკების, აბასიანებისა და ფატიმიდების მმართველობის წლები იყო. მოსულის მმართველს, იმადუდდინ ზენგსა და ტიქრიტის გუბერნატორს, ნეჯმუდდინ ეიუბს შორის ძლიერი მეგობრული კავშირი იყო. ნეჯმუდდინ ეიუბს 1171 წელს ტიქრიტში ვაჟი შეეძინა. სელაჰადდინი დაარქვეს.

იმავე წელს ნეჯმუდდინ ეიუბი, მოსულის გუბერნატორის, ზენგის მიწვევით ტიქრიტიდან მოსულში ჩავიდა.

პატარა სელაჰადდინი მოსულის გუბერნატორის, ბიძამისი შირქუჰისგან, მათემატიკას, ასტრონომიასა და საომარ ხელოვნებას სწავლობდა. თავისი ახალგაზრდობაც ბიძამისთან გაატარა.



მასთან ერთად იბრძოდა ჯვაროსნების წინააღმდეგ და მნიშვნელოვანი სამხედრო წარმატებები მოიპოვა. ამავდროულად, ჩამოყალიბებული, თბილი, ხელგაშლილი, შემბრალებელი, მამაცი და სამართლიანი სახელმწიფო მუშაკის სახელსაც იხვეჭდა.

საპატივცემულო მუშაკმა, სელაჰაადინ-ი ეიუბმა, ყველგან ნდობა მოიპოვა და ფატიმიდებმა ჰაჯობის გზის დასაცავად სირიაში გაუშვეს. ეგვიპტესა და ჰარემეინს შორის არსებული ეილი ჯვაროსნებისგან იხსნა.



ახალგაზრდობაში მოპოვებული ლეგენდარული გამარჯვებებით ისლამის დიდი გმირი გახდა.

ხალიფამ, ჰზ. ომერმა 638 წელს იერუსალიმი რომ დაიპყრო, ქრისტიანებს სიცოცხლისა და ქონების ხელშეუხებლობა დაპირდა. 461 წლის მანძილზე ისლამის მმართველობის ქვეშ მყოფ იერუსალიმში, მუსლიმები ქრისტიანების უფლებებს არ არღვევდნენ და მათ რწმენას პატივს სცემდნენ.

დროის განმავლობაში იერუსალიმი ჯვაროსნების ხელში მოხვდა და მეფური მმართველობა დაწესდა. იერუსალიმის სამეფომ ქალაქში არსებული ყველა ისლამური ღირსშესანიშნაობა გაანადგურა. მეჩეთები ეკლესიებად აქციეს. იერუსალიმი ჯვაროსნების ხელში როცა იყო, ყოველ დღე მუსლიმებს და უფრო მეტიც, იუდეველებს, რომლებიც მათ დახმარების ხელს უწვდიდნენ, ხოცავდნენ. ადგილობრივი მოსახლეობა ჯვაროსნების სისასტიკემ დათრგუნა და გამოუვალ მდგომარეობაში მყოფნი გადარჩენას ელოდებოდნენ.

სწორედ ამიტომ სურდა სელაჰადდინ-ი ეიუბს იერუსალიმი ჯვაროსნებისგან გაეთავისუფლებინა. იერუსალიმი ჯვაროსნებს რომ ეპყრათ, სახეზე ღიმილი არ ეკარებოდა.



ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის დაპყრობიდან ოთხმოცდარვა წელი გასულიყო. სელაჰადდინ-ი ეიუბი იერუსალიმის დასახსნელად დღე და ღამე შრომობდა, ძილი არ ეკარებოდა. იერუსალიმის დაპყრობის დროც მოვიდა. ამ წმინდა მიწის დასაპყრობად გზას გაუდგა. იერუსალიმის დაპყრობა პარასკევ დღეს, მირაჯის ღამეს ხვდა წილად. ამგვარად ოცნება აუხდა.

დაპყრობისას ჯვაროსნებს ქალაქის სისხლის დაუღვრელად დათმობა შესთავაზა. ჯვაროსნების წინამძღოლები ამას არ დაეთანხმნენ. ზოგიერთმა მათგანმა გამოსასყიდი გადაიხადა და ქალაქი დატოვება. ზოგიერთს კი გამოსასყიდის მიცემის შესაძლებლობაც კი არ ჰქონდა. მან ტოლერანტულად გაათავისუფლა ათასობით გაჭირვებული, ათასობით სხვას კი სულ მცირე გამოსასყიდის სანაცვლოდ ქალაქის დატოვების უფლება მისცა. ქრისტიანების ნაწილი, რომელთაც გამოსასყიდი ვერ გადაიხადეს, ან იერუსალიმში დარჩნენ ან ქალაქი დატოვეს. იუდეველებსაც მისცა ქალაქში დასახლების უფლება.

დაპყრობის შემდეგ სელაჰადდინ-ი იეუბმა სულთნის წოდება მიიღო, ჰზ. ომერის შემდეგ იერუსალიმის მეორე დამპყრობელი გახდა და ისტორიაში საპატიო ადგილი დაიჭირა.

მუსლიმებმა გამარჯვება ზარ-ზეიმით აღნიშნეს. სულთანი რარაც დროის განმავლობაში იერუსალიმში დარჩა, მოგვიანებით კი მესჯიდ-ი აქსა ისევ მეჩეთად აქცია და იქედან წავიდა.

სულთან სელაჰადდინი მმართველი ეიუბის სახელით აგრძელებდა მოღვაწეობას. მექასა და მედინას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. პირველი მმართველი იყო, რომელიც „ჰამიდულ-ჰარემეინ“ წოდებას იყენებდა.

სულთან სელაჰადდინმა, რომელსაც თურქმა ეროვნულმა პოეტმა, მეჰმეთ აქიფმა 'აღმოსავლეთის ყველაზე საყვარელი სულთანი' უწოდა, ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ პირველ რიგში იქაური დიდი ციხე მეჩეთად აქცია. ყველა ეროვნების ხალხისთვის საყვარელი სელაჰადდინ-ი ეიუბი 1193 წლის 4 მარტს დამასკოში გარდაიცვალა.

# თორმეტი ათასი გული

ეს კვერცხები ხვალ საუზმისთვის რომ მოვამზადოთ, ძალიან გემრიელი იქნება, ვუთხარი დედას. არა, მითხრა დედამ, ისინი მე მჭირდება.

ბოთლში ცოტა რძე დარჩენილა, დავლევ და გავიზრდები, ვთქვი. არ გამოვა ჩემო ლამაზო გოგონა, რძეც მჭირდება, მითხრა დედამ.

–რაც არ უნდა გკითხო, ყველაფერი გჭირდება, მე რაღა ვქნა?

–შენ ცოტა მოითმინე. აი ნახე, კვერცხი ჩავაცხე, შაქართან ერთადაც ავთქვიფე უკვე. ცოტა ფქვილს, რძეს, გამაფხვიერებელს და ვანილსაც ჩავამატებ, – უპასუხა დედამ.

მე მაინც კარაქში შემწვარ კვერცხს ვამჯობინებდი. გემრიელ რძესაც მივაყოლებდი, ვთქვი.

დედამ ცოტა კაკაოც დაამატა. საცხობი ჩართო. ყველაფერი აურია და იქ მოათავსა. შემდეგ კი წინ ჩამომიჯდა:

–ზოგჯერ კარგი რამეებისთვის ზოგიერთ ისეთ რამეზე უნდა ვთქვათ უარი, რაც გვიყვარს. შენ რძესა და კვერცხზე თქვი უარი. ეს ყველაფერი კი სხვაგვარად დაგიბრუნდება.

დაინტერესებულმა დედას შევხედე. სწორედ ამ დროს, საცხობიდან სურნელი ჩემს ცხვირს მიესალმა. დედას კექსი



გამოეცხო. ვიფიქრე, რომ როგორც კი საცხობიდან გამოვიტანდით, ერთ ნაჭერს ჩამოვჭრიდით და შევჭამდით. ასე არ მოხდა.

დედამ მკითხა:

-მზად ხარ, რომ ეს უკეთეს რამეში გაცვალო?

გამიკვირდა, ავღელდი. მაინც რაში მეთქი, ვიკითხე.

ხალხმრავალ ადგილას წავედით. იერუსალიმისთვის საქველმოქმედო ყიდვა-გაყიდვა ყოფილა. თავდაპირველად კინოს მსგავს ადგილას რალაცას ვუყურეთ. ჩემი ასაკის ბავშვებს ჯარისკაცები ობლად ტოვებენ და სახლებს უნგრევენ.

დედა, რა შეგვიძლია ჩვენი და-ძმებისათვის გავაკეთოთ მეთქი ვკითხე. ვცდილობთ მათი საჭიროებებისათვის ფული შევაგროვოთ. აი, ჩვენ კექსით ვეხმარებითო, მიპასუხა. როგორც ჩანს, ჩვენი კექსი იმ და-ძმებს უნდა მივცეთ, ვისაც არც დედა ჰყავთ და არც სათამაშოები აქვთ... ეს ათი ათასობით მილიონ კექსს ჯობია!



სხვა მეთქი, ვკითხე. შევევედრით, ისინი მოვინახულოთო, თქვა უფროსმა გოგონამ, რომელმაც ჩაგვიარა.

მერე გავიგე სახელი, პილაღი ერქვა. იერუსალიმს უხსნიდა სხვებს, მოსწავლეები დაპყავდა იერუსალიმში... ხელი ჩამკიდა და ერთად ავედით სცენაზე. საუბარი დაიწყო:

იავუზ სულთან სელიმ ხანი პირველი ოსმალია, ვინც იერუსალიმის დასახმარებლად ნაბიჯი გადადგა. ქალაქი რომ დაიპყრო, მეჩეთში პერსონალმა 12.000 სანთელი აანთო და სიხარულით მიეგება.

რას იტყვით ჩვენც ახლა, თუკი მდგომარეობაში ჩავარდნილი და-ძმებისათვის, იერუსალიმისათვის შემვედრებელი 12 ათასი გული რომ ვიყოთ, 12 ათასი ცრემლი ლოყებზე რომ ჩამოგვიგორდეს, ძირს დაცემამალე ჩვენი გულწრფელი ვედრება ცამდე რომ ავიდეს, პალესტინა გადარჩება? ნუთუ არ არის ჩვენს გულებში იავუზის სიმამაცე და სელიმის ღმობიერება? ნუთუ ვერ ვიპოვით 12 ათას გულს, რომლებიც ჩვენს პირველ ქიბლას, შუამავლების, ჩვენი შუამავლის ამანათს უპატრონებს? ვერ წავა ყოველ თვე 12 ათასი კაცი იერუსალიმში და ვერ ჩაიხუტებს იმას, რაც ჩვენია? მე გადავწყვიტე, რომ ერთ-ერთი მათგანი ვიყო, თქვა პილაღმა... შემდეგ ჩემკენ შემობრუნდა და მკითხა, აბა თქვი პატარა გოგონა, იქნები შენ მეორე?

ვიქნები მეთქი, ვუპასუხე. სიხარულისგან თვალები ცრემლებით ამევსო. თითქოს დარბაზში 12 ათასი მანათობელი შუქი დავინახე.

# შენს ბაღში ადგილი გამომიყავი



მესჯიდ-ი აქსავ
შენს ბაღში ადგილი გამომიყავი
მე იქ ყველაზე ლამაზ
წიგნს წავიკითხავ

მესჯიდ-ი აქსავ
შენს ბაღში ადგილი გამომიყავი
იქ ჩემს ფრანსვ
ყველაზე მაღლა ავაფრენ

მესჯიდ-ი აქსავ
შენს ბაღში ადგილი გამომიყავი
იქ მე
მთელი გულით შევევედრები

მესჯიდ-ი აქსავ
შენს ბაღში ადგილი გამომიყავი
იქ მე ვირბენ
ლაღად და მხიარულად

მესჯიდ-ი აქსავ
მე კი ვიცი, რომ
ჩემთვის მუდამ გაქვს შენს ბაღში ადგილი
ხელები გაგიშლია და მე მელოდები...

# ჩვენი პირველი ქიბლა (ორიენტაცია)

მუსლიმები ლოცვისას ჰიჯრის მეორე წლამდე მესჯიდ-ი აქსას მიმართულებით დგებოდნენ. ამ მიზეზით მედინაში მცხოვრები იუდეველები ჰზ. შუამავალზე 'ჩვენს რელიგიას არ მიყვება, ლოცვისას კი ჩვენი ქიბლას მიმართულებით ლოცულობს'-ო დაცინვით საუბრობდნენ.

ქაბა თავდაპირველად ჰზ. ადემმა ააშენა. ჰზ. იბრაჰიმმა კი ვაჟთან, ისმაილთან (ა.ვ.) ერთად საძირკველი მაღლა წამოსწია. სწორედ ამიტომ, ქაბას ჰზ. შუამავლისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ალლაჰის ელჩმა თქვა, რომ ის დღეები, როცა ლოცვისას ქაბასკენ ბრუნდებოდა, მოენატრა.

ჰზ. შუამავალი ალლაჰუ თეალასგან ამ მონატრების განსაქარვებელ ბრძანებას ელოდა. მან იცოდა, რომ აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის, ყველა მხრის ბატონ-პატრონი ალლაჰუ თეალა იყო. თუმცა, რა თქმა უნდა ფიქრობდა, რომ მესჯიდ-ი ჰარამი ანუ ქაბა, რომლისკენაც ლოცვისას ბრუნდებოდნენ, თავისი ბაბუების, ჰზ. ადემისა და ჰზ. იბრაჰიმის მსგავსად სხვა შუამავლების მისთვის დატოვებული ამანათი იყო.

ბოლოს, როგორც იქნა მოვიდა ალლაჰუ თეალასგან ის ბრძანება, რომელსაც ჰზ. შუამავალი ელოდებოდა: და ვინაა იმაზე დესპოტი, ვინც აუკრძალა ალლაჰის სალოცავებში მისი სახელი იხსენებოდეს და მოიწადინა მათი (სალოცავების) განადგურება? სწორედ ასეთებს მართებთ იქ შიშით შესვლა. მათთვისაა დამცირება სააქაოს და მძიმე სასჯელი საიქიოს! (სურა ბაყარა, 144-ე აია)

ქაბას ნოსტალგიის მიუხედავად, ჰზ. მუჰამადისთვის იერუსალიმს სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. იერუსალიმი ის წმინდა ადგილი იყო, საიდანაც მირაჯზე წავიდა. ჩვენი მუჰამადი მირაჯზე რომ ავიდა, მუსლიმებს ხუთი დროის ლოცვა ეძლვნათ. საუკუნეების მანძილზე მუსლიმებს იერუსალიმში თხუთმეტი დროის ლოცვის შესრულება უწევდათ.

თუ გიფიქრიათ, ქიბლა რას ნიშნავს? ქიბლა, მხოლოდ ლოცვის დროს რალაცის მიმართულებით დადგომაა? პირველმა ქიბლამ, მესჯიდ-ი აქსამ და მეორე ქიბლამ, მესჯიდ-ი ჰარამმა მუსლიმებს გვასწავლა, რომ ლოცვის დროს ქიბლასკენ დადგომა, ალლაჰის ბრძანების შემსრულებას, კარგ მუსლიმობას ნიშნავს. ამავდროულად, სამართლიანობას და სწორი გზით სიარულს აღნიშნავს.

ქიბლამ, რომლისკენაც ლოცვისას ვდგებით, ბავშვების სიმშვიდეში ცხოვრებისათვის, ჰზ. ომერის მსგავსად, თვეების მანძილზე სიარული გვასწავლა.

636 წელს ისლამის ჯარებმა იერუსალიმი მოიცვეს. ქრისტიანები რომ მიხვდენ ომს აგებდნენ, დაზავება მოისურვეს. მტკიცედ ამბობდნენ, რომ ქალაქი იერუსალიმის გასაღებს ხალიფა ჰზ. ომერის გარდა არავის გადასცემდნენ. ისლამის ჯარის მთავარსარდალმა, ჰზ. ებუ უბეიდმა ქრისტიანების მოთხოვდა ჰზ. ომერს აცნობა. მოლაპარაკებების შემდეგ ჰზ. ომერი იერუსალიმის გზას დაადგა. ამ მგზავრობის ბოლოს, რომელიც რამდენიმე დღე გაგრძელდა, ხან აქლემზე ამხედრებული მიდიოდა, ხანაც ფეხით, იერუსალიმს მიადგა.

ხალიფა ომერმა ომის ბრძანება არ გასცა. არ უნდოდა ბავშვების ტირილისა და ხეების განადგურების ხილვა. ჰზ. ომერმა მშვიდობიანად დაიპყრო ქალაქი და ქრისტიანებს სიტყვა მისცა, რომ მათ ექნებოდათ სიცოცხლის, ქონებისა და ღვთისმსახურების ხელშეუხებლობა.

ჰზ. ომერი ხომ ლოცვისას ქიბლასკენ ბრუნდებოდა. ამ ქიბლას ბატონ-პატრონმა, ალლაჰუ თელალამ მას მშვიდობიანად მოლვაწეობა უბოძა.

ქიბლამ, რომლისკენაც ჩვენ, მუსლიმები ლოცვისას ვდგებით, სელაჰადდინ-ი ეიუბის მსგავსად სამართლიანობა გვასწავლა.

სელჩუკთა იმპერია 1092 წელს ჩამოშალა და ოთხად გაყო. ლოცვისას ქიბლასკენ მიბრუნება კი მხარში დგომასა და ერთად ყოფნას ნიშნავდა. მუსლიმები დაიყვნენ და ძველი ძალები დაკარგეს. ჯვაროსნებმა იცოდნენ ამისგან სარგებელი როგორ ენახათ და იერუსალიმს შეესიენ. 1099 წლის 15 ივლისს იერუსალიმი დაიპყრეს და ქალაქი მიწასთან გაასწორეს. ჯვაროსნების არმია მესჯიდ-ი აქსაში შეიჭრა და უდანაშაულო ხალხი, ბავშვებისა და მოხუცების განურჩევლად ამოხოცეს.

იერუსალიმი დაიკარგა. სელაჰადდინ-ი ეიუბი დღე და ღამე იერუსალიმზე ფიქრობდა. გული და გონება იერუსალიმისკენ იყო მიმართული. 1187 წელს იერუსალიმი დაიპყრო. ჯვაროსნების 88 წლიანი ბატონობის შედეგად მიუხედავად დარჩენილი მესჯიდ-ი აქსას დასუფთავება თვითონ ითავა. სულთანი სელაჰადდინი ისე არ მოქცევია მათ, როგორც ჯვაროსნები ექცეოდნენ მუსლიმებს. შურისძიების გრძნობით არ უმოქმედია. ეს იმიტომ, რომ სელაჰადდინ-ი ეიუბის ქიბლა ჰქონდა, რომლისკენაც ლოცვისას მიბრუნდებოდა. იმ ქიბლას ბატონ-პატრონი, ალლაჰუ თეალა, სელაჰადდინ-ი ეიუბის სამართლიანად და სწორად მოპყრობას უბრძანებდა.

ქიბლამ, რომლისკენაც ლოცვისას პირს ვიბრუნებთ, ოსმალეთის სულთნების მსგავსად, ალლაჰის მფარველობის ქვეშ ყოფნის გაცნობიერება გვასწავლა.

ისტორიის მანძილზე იერუსალიმი ხელიდან ხელში გადასულა. 1517 წელს, იავუზ სულთან სელიმ ხანის დროს, ოსმალეთის იმპერიას დაექვემდებარა. დაახლოებით 400 წელი ოსმალეთის იმპერიაში ყოფნის მანძილზე იერუსალიმში მუსლიმები, ქრისტიანები და იუდეველები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ.

იერუსალიმში ბავშვები მუდამ იცინოდნენ. ზეთისხილის ხეებს ქვდი არ მოუხრიათ. ოსმალეთის სულთნები იერუსალიმში ჩხუბის კი არა, მშვიდობის, სიმშვიდისა და სიყვარულისთვის შრომობდნენ. ოსმალეთის სულთნებს რომ

ქიბლა ჰქონდათ, რომლისკენაც ლოცვისას პირ იბრუნებდნენ. ამ ქიბლას ბატონ-პატრონი ჩხუბს კი არა, მშვიდობას ბრძანებდა.

პირველი ქიბლა, მესჯიდ-ი აქსა, ჩვენია. მუსლიმები ლოცვისას თავდაპირველად მესჯიდ-ი აქსასკენ ბრუნდებოდნენ, ახლა კი მესჯიდ-ი ჰარამისკენ ბრუნდებიან. რეალურად მუსლიმები მესჯიდ-ი აქსასა და მესჯიდ-ი ჰარამის ერთადერთი მეპატრონის, ალლაჰისკენ ბრუნდებიან. ალლაჰუ თელალასგან ისწავლეს ჰზ. ომერივით მშვიდობისკენ სიარული, სელაჰადდინ-ი ეიუბივით სამართლიანობა და ოსმალეთის სულთნებივით მშვიდად ცხოვრება.



# ზლბაზდზყა

როგორ ფიქრობ, რა გააკეთე? –გავიბრაზდი კალამს,– შეხედე რა დავწერე! არანაირი მნიშვნელობა ამას არ აქვს.

კალემმა არაფერი მიპასუხა. არც შეირხა. ვერ ვხდებოდი რა ემართებოდა. მე ზ-ს ვწერ, ის ლ-ს უწერს გვერდით. მე ვიცი რისი დაწერაც მინდა, მაგრამ ნეტავ კალამს რისი დაწერა უნდა? რატომ დაწერა ასე აღელვებულმა რადენიმე ასო და შემდეგ თავის ძველ ქცევას დაუბრუნდა?

ზეთისხილის ბაღზე უნდა დამეწერა, რომელშიც ქარი ცეკვავს და მზე ფოთლებს ანათებს. მასში ციყვებს უნდა ერბინათ. მწვანე ცოცებს შორის ლურჯი ზღვა უნდა მოჩანდეს.

ამ დროს კი ე-ს ვერ ვწერ, რადგან კალამი მის გვერდით ლ-ს წერს...

ბუშტებზე მაინც დავწერ მეთქი, ფერად, მფრინავ ბუშტებზე... ბავშვებს ხელებზე ბუშტები გამოუბმიათ და პარკში მხიარულად ხმაურობენ. კალამი ა-ს წერს და მის გვერდით ზ-ს ამატებს. კარგი, ამასაც დავანებე თავი.

თუ ასეა, დღესასწაულებზე (ბაირამი) დავწერ მოთხრობას. ბავშვები ისევ იქნებიან. ჯიბეებში მოჩხრიალე ხურდებთან ექნებათ ცალი ხელი, ცალი ხელი საკოცნელად გაამზადონ... ბავშვებს ჩემი ზეთისხილის ბაღში განათებული მზესავით უბრწყინავთ თვალები.

ჩემი კალამი ისევ მიშლის ხელს. ისევ ზ-ს მიწერს დ-ს გვერდით. რა ემართება ჩემს კალამს? ნუთუ ბუშტებზე და დღესასწაულებზე უკეთესი თემა არსებობს დასაწერად?

ჩავფიქრდი. რა თქმა უნდა არის.
ყვავილები და ყმაწვილები.

მხიარული, ნარინჯისფერი საღამოები,
თეთრი მიხაკები, იისფერი იები.
ყმაწვილებზე საქმე რომ მიდგება, ჩემი
კალამი ა-ს წერს.

ეეე, საკმარისია, მეთქი ვამბობ.

კალამთან ბრძოლას თავს ვანებებ. აბა
დაწეროს და დაასრულოს. თუმცა არ წერს.
ისეა გაჩერებული, თითქოს ამბობს „იმ
სიტყვის მეტი ალარაფერი მაქვს დასაწერი.“

ჩემს დაწერილ ასოებს ვშლი. მხოლოდ კალმის
დაწერი რჩება: -ლაზზა

ზეთისხილის ბაღები ნისლში ეხვევიან,
მფრინავი ბუშტები ფეთქდებიან.
ნუთუ ბუშტები არ იყო? ყვავილები
ფეხსაცმელებს ქვეშ ისრისებიან.
ყმაწვილები ისევ ყვირიან,
მაგრამ ამჯერად სიხარულისგან
არა. ჩემი კალამი ამ
ყველაფერს ვერ წერს,
შუაზე სკდება...



# მუსლიმი, თურქი სახელმწიფოები, რომლებიც იერუსალიმს მიეხმარნენ



მუსლიმი თურქი სახელმწიფოების მმართველობა იერუსალიმში აბასიანების დროს, ეგვიპტეში დაფუძნებული თოლუნის შვილებით დაიწყო. ამის შემდეგ იერუსალიმის მმართველობას ისევ ეგვიპტის ცენტრში დაარსებული იხშიდიდები აგრძელებენ 969 წლამდე.

კიდევ ერთი სახელმწიფო, რომელიც იერუსალიმს 1099 წლის 15 ივლისამდე, ჯვაროსნების დაპყრობამდე, ეხმარებოდა სელჩუკთა იმპერია იყო. ამ პერიოდში ისლამის ცნობილი სწავლული, ალ-ღაზალიც აქ იმყოფებოდა. მისი ცნობილი ნაშრომის, რელიგიის მეცნიერებათა გაცოცხლების ნაწილი იერუსალიმში დაწერა.

იერუსალიმის ისტორიაში ეიბულების (აიუბელების) დიდი წვლილის ხსენებამდე დაუშვებელია არ აღვნიშნოთ ნურედდინ ზენგის მიერ დამასკოს შემოგარების ჯვაროსნებისაგან გამოტაცება. ამის შემდეგ კი ჩვენთვის ყველასათვის ცნობილი, ეიუბელების სულთანი, სელაჰადდინ-ი ეიუბი იერუსალიმს ჯვაროსნებისგან ათავისუფლებს.



იერუსალიმში ეიუბელების შემდეგ მამლუქების პერიოდი იწყება. მამლუქების ცნობილი სულთანი, სულთანი ბაიბარსი, ჯვაროსნებს შეერკინა და პალესტინის ტერიტორიის ნაწილი მათი დაპყრობისგან დაიცვა.

სულთანი ქალავუნი და სულთანი ქაითბეი კი იერუსალიმში რელიგიური სასწავლებლებისა და ბაზრობების მსგავსი რამეების დატოვებით არიან ცნობილნი.

ეიუბელებსა და მამლუქებს მესჯიდ-ი აქსასთვის ბევრი რამე გაუკეთებიათ, ახალი ნაგებობები ააგებინეს და ძველებს რესტავრაცია ჩაუტარეს. სწორედ ამგვარად მოაღწია მრავალმა ისტორიულმა ძეგლმა ჩვენამდე.

იერუსალიმისთვის დახმარების გაწევის პატივი ოსმალეთის იმპერიას მას შემდეგ ერგო, როცა იავუზ სულთან სელიმ ხანმა ეგვიპტე მამლუქებს წაართვა.



უფროსმა თაობებმა როგორც მესჯიდ-ი აქსას, ასევე იერუსალიმს მრავალგზის დახმარება გაუწიეს. ერთი მხრივ, წყლისა და კანალიზაციის არხების გაყვანა დაასრულეს, მეორე მხრივ კი მესჯიდ-ი აქსას ძეგლები შეაკეთებინეს. მესჯიდ-ი აქსაში მიჰრაბი, მორთულობები, გალავნები, ონკანები დაამატებინეს და საქველმოქმედო ფონდები დააარსეს.

ოსმალეთის სულთანმა, სულთან აბდულაზიზმა 1843 წელს მესჯიდ-ი აქსაში მასშტაბური რესტავრაცია წამოიწყო. ეს რესტავრაცია უმაიანთა ხალიფის, აბდულმელიქ ბ. მერვანის რესტავრაციის შემდეგ ყველაზე მასშტაბურია.

სულთან აბდულაზიზის შემდეგ, მისმა ძმისშვილმა, სულთან აბდულჰამიდ II ხანმაც მხოლოდ ძეგლს ჩესტავრაცია ჩაუტარა. ჩვენი შუამავლის ბრძანებას, 'მესჯიდ-ი აქსაში თუ ვერ წახვალთ, ზეთისხილი გაგზავნეთ ძვირფას ლამპებზე ასანთებად', მიჰყვა და მესჯიდ-ი აქსას გასანათებლად ჭაღი გააგზავნა. ამასთან ერთად, ბაბულ-ჰალილში ანუ იერუსალიმის ელ-ხალილის შესასვლელ კარიბჭეში საათის კოშკი ააგებინა. სამწუხაროდ, იერუსალიმი ოსმალეთს ინგლისმა რომ გამოგლიჯა, საათის კოშკიც გაანადგურა.

1892 წელს სულთან აბდულჰამიდ II-ის წამოწყებული სარკინიგზო გზა დასრულდა. ეს გარეჩება ჰიჯაზის რკინიგზას მედინასკენ მიმავალ რკინიგზას უკავშირებდა. სამწუხაროდ, ეს ისტორიული გარეჩება მოგვიანებით მუზეუმად აქციეს.

უეჭველია სულთან აბდულჰამიდ II-ის საქმეები ამით არ ამოიწურება. მაშინ, როცა ოსმალეთის იმპერიას ფინანსურად ძალიან უჭირდა, კატეგორიული უარი განუცხადა და უთხრა რომ ფულზე არ იყიდებოდა პალესტინა მათ, ვისაც ყიდვა სურდა, რომელშიც ეს ძვირფასი ტერიტორია, იერუსალიმი მდებარეობს.

## ჯარისკაცი, რომელმაც იერუსალიმი არ მიატოვა

პირველი მსოფლიო ომის დროს პალესტინა-სირიის ფრონტი ალბათ ისტორიის გაკვეთილებიდან გსმენიათ. სწორედ ამ ომის ბოლოს, 1917 წლის 9 დეკემბერს, სამწუხაროდ იერუსალიმი ოსმალეთის იმპერიამ დაკარგა და ინგლისის მმართველობაში მოექცა. ომის ბოლოს დადებული შეთანხმების, მუდროსის ზავის მიხედვით ოსმალეთის იმპერია იძულებული გახდა ტერიტორიიდან უკან დაეხია.



ერთ-ერთი ასეთი ტერიტორია იერუსალიმი იყო.



უეჭველია, რომ მხოლოდ ოსმალეთის იმპერიასა და მის მოსახლეობას არ ეწყინათ იერუსალიმის დატოვება. იერუსალიმსაც გული დასწყვიტა ამ განშორებამ. ერთ დროს, როგორც ჰზ. ომერისა და სელაჰადდინ-ი ეიუბის მოსვლა მთელ ერსა და ყველა რელიგიის მიმდევარს გაუხარდა, ასევე ძლიერად ეწყინათ ერსა და ყველა რელიგიის მიმდევარს ოსმალეთის იმპერიის სახით სიმშვიდისა და სამართლიანობის იერუსალიმიდან წასვლა.

ერთ-ერთი ფაქტი, რომელმაც ეს მწუხარება აშკარა გახადა იყო ის, რომ ინგლისის გენერალი, ალლენბაი, ქალაქში იმავე კარიდან შევიდა, რომლიდანაც ჰზ. ომერი, შემდგომ სელაჰადდინ-ი ეიუბის საფლავს უპატივცემულოდ დაადო ფეხი და 1099 წელს ჯვაროსნების შემოსვლის აღსანიშნავად 'აი ისევ მოვედით სელაჰადდინ' წარმოთქვა. ეს ვინც გააკეთა არ იცოდა, რომ ჰზ. ომერმა ქალაქში კარიბჭიდან შესვლის გამო კი არა, არამედ სხვებზე სამართლიანად მოქცევისთვის გაითქვა სახელი.

და თურქი ჯარისკაცები? გმირი ჯარი? როგორც ფაჰრეთთინ ფაშამ და მისმა ჯარისკაცმა მედინე-ი მუნევვერის მიტოვება არ ისურვა, ასევე არ მიატოვა თურქმა ჯარმა იერუსალიმი. შეთანხმების თანახმად, უკან უნდა დაეხია. გმირი ჯარისკაცი კი არაფრის დიდებით აპირებდა ამ ძვირფასი ტერიტორიის დატოვებას. უფრო მეტიც, გადაწყვიტა, რომ ჰასან ათთავის მსგავსად ბოლო ამოსუნთქვამდე ამ მიწაზე ემორიგევა. ეს ერთ-ერთი მაგალითია თუ როგორ თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ ამ წმინდა მიწას. იერუსალიმი ჩვენი ისტორიის მარგალიტი, თვალის ჩინია.

# ბებიამ შვილიშვილს ხელი ჩაჭიდოს და გაეშუროს იერუსალიმისკენ




-ოი, რა ლამაზი კოშკია! ოქროსია?
-თქვენთვის ბევრი ფოტო გადავიღე. აი ნახეთ!
-კოშკი არაა, გუმბათია და დიახ, ოქროსია. კედლები კი ლურჯი კერამიკისაა.
-ამ მეჩეთს ხომ მესჯიდ-ი აქსა ჰქვია?
-არა, ქუბბეთუს-საჰრა... მესჯიდ-ი აქსა მეჩეთის სახელი არაა, წმინდად მიჩნეულ ტერიტორიას ეწოდება. შემდგომში ერთად წავიდეთ. უფრო მეტიც, მირაჯის ღამის დღესასწაულზე წავიდეთ.
-ახლა კი იერუსალიმიდან ჩამოტანილი ხურმა მივირთვათ. შევევედროთ, რომ იერუსალიმი მარტო არ დარჩეს.

# მამა, შუქი აინთება?

ლეილამ სიამოვნებით შეხედა ნაჭრის თოჯინას, რომელსაც რამდენიმე დღის მანძილზე აკეთებდა და თქვა:

-ძალიან ლამაზი გამოვიდა. და თუ მეყოლება, მას მივცემ. ძალიან მოეწონება.

მუნისი ხელში დაჭერილი შეშის ჩვენებით ლეილას ნათქვამს დაუპირისპირდა:

-არა, ჩვენ ძმა გვეყოლება! აი ნახე, მე მისთვის ლამაზი მანქანის გაკეთება დავიწყე კიდეც.

ისევ რა მალე დაღამდა. ისევე როგორიც ბევრს სხვას, მუსნისსაც შუა გზაზე დარჩა სამუშაო. ყველაფერი ბნელმა მოიცვა. შუქი?... არა, სახლის არც ერთ კუნჭულში ენთო შუქი. მხოლოდ შიჯაიეს ქუჩა იყო ჩაბნელებული? სამწუხაროდ მთელ ქალაქს, მთელ ღაზას ისევ გაუთიშეს შუქი. ბოლო ათი წლის მანძილზე ხალხი დღეში მხოლოდ 3-5 საათით ჩართული შუქით სარგებლობდა. რა რთული იყო ცხოვრება!

ყველა ოჯახის ისტორია ერთმანეთს წააგავდა. თითქმის ყველა ოჯახს ჰყავდა შაჰიდი და დაჭრილი. არც ერთ ამ ქალაქს ტოვებდა ტკივილი, იმედები და ვედრებები.

-სანთელიც აღარ დაგვრჩენია,- მოწყენილი დაიარებოდა და ამბობდა მუნისი. ისე დაღამდა, რომ ძმისთვის სასურველი მანქანის გაკეთება ვერ მოახერხა. ლეილა დისთვის გაკეთებულ თოჯინას ხელს არ უშვებდა და ფანჯრიდან გარეთ იყურებოდა. ნეტავი რას ხედავდა იმ სიბნელეში?

ებუ უბეიდეს სახლში სიჩუმე სუფევდა. ამაღელვებელი მოლოდინი... ახალშობილი დედასთან ერთად საავადმყოფოში იყო. ნეტავი საღ-სალამათნი

დაბრუნდებოდნენ? ახალშობილთა განყოფილებაში
უშუქობის გამო აქამდე მრავალი ჩვილი დაღუპულა.
ნეტავი მათი შვილი სიცოცხლისთვის
ბრძოლაში თუ გაიმარჯვებდა? შეძლებდა მის
მომლოდინე უფროსებთან შეხვედრას? მისი
უფროსი და და ძმა რამდენს ოცნებობდნენ,
რომ ერთად ითამაშებდნენ. მართლა, გოგოა
თუ ბიჭი? პასუხი ამ კითხვაზე ჯერ
არავინ იცოდა.

ებუ უბეიდეს პატარა ვაჟი, მუნისი,
განუწყვეტლივ კითხულობდა:

–ძმა გვყავს და ცოცხალია,
ხომ ასეა მამა? ჩვენი
ძმა რომ გათენდება,
მაშინ მოვა, ხომ ასეა?

მამა პასუხობდა:

–ინშალლაჰ ჩემო
პატარავ. მოვლენ
ინშალლაჰ.

ბავშვები ბრიალა
თვალებით ოთახის
წყვდიადის
განათებას
ცდილობდნენ.
მათთან ერთად
ცაზე გამოკიდული



მთვარე და ვარსკვლავებიც. უზარმაზარი ქალაქის განათებას ცდილობდნენ, რომელიც მკვდარივით მოჩანდა.

ებუ უბეიდე ცდილობდა ცრემლები ბავშვებისგან დაემალა. ნერწყვს ყლაპავდა, იღიმებოდა და ამბობდა:

-ერთ დღესაც ამ ქალაქის ყველა შუქი აინთება. არავინ და არაფერი იქნება სიბნელეში ჩაძირული! ყველა შუქი აინთება!

-ჩემი ძმა და დედა სახლში დაბრუნდებიან, ხომ ასეა მამა?

-ალლაჰის ნება თუ იქნება, დაბრუნდებიან ჩემო პატარავ. გაზაფხული რომ დადგება, აი ამ ხის ქვეშ ერთად ითამაშებთ. საქანელებს გაგიკეთებთ. გაზაფხული რომ დადგება, ახალ ხეებს დავრგავ. აბა წადით ახლა და რამე ჭამეთ.

ებუ უბეიდეს შვილებმა ქვაბის ძირში დარჩენილი წვნიანი ერთად მიირთვეს და თითო ნაჭერი პური მიაყოლეს. ბავშვები ბევრს ეხვეწებოდნენ, მაგრამ გამუდმებით პასუხობდა:

-თქვენ მიირთვით, მე არ მშია.

არა და ორი თუ სამი დღეა ნორმალურად არაფერი ეჭამა. არაფერი სურდა. მოგვიანებით ბავშვები ისევ მიისვა და უთხრა:

-ალლაჰმა ამ მნიშვნელოვანი საქმისთვის ჩვენ აგვარჩია. ჩვენ იერუსალიმის, შუამავლების ქალაქის მცველები ვართ. თავისუფლებისთვის სიცოცხლესაც სიამოვნებით დავთმობთ. გჯეროდეთ, რომ მუდამ ასე სიბნელეში არ ვიქნებით. შუქები აუცილებლად აინთება! იერუსალიმის ბავშვები, ახალგაზრდობა ერთ დღესაც ყველა შუქს აანთებენ. ამაში ეჭვი არ შეგვეპაროს!

ებუ უბეიდეს ბავშვებს თვალები გაუბრწყინდათ.

-სიმართლეს ამბობ მამა?



–რა თქმა უნდა სიმართლეს ვამბობ. ჩვენს მიწებს თავისუფლად მოვხნავთ და დავთესავთ. სახლებს თავიდან ავაშენებთ. სამუშაო ადგილებს აღვადგენთ. მხიარულად ითამაშებთ ეზოში, ისე რომ საერთოდ არ შეგეშინდეთ.

ლეილა ხელთ არსებულ თოჯინას მჭიდროდ ჩაეხუტა. სუფთა სახეებზე თბილი ღიმილი აღებეჭდათ. თითქმის ყველა სახლში უფროსები ბავშვებს აგულიანებდნენ. მტკიცე რწმენა პატარა ბავშვებს დიდ ადამიანებად აქცევდა. ამ დროს ღამის წყვდიადი იკარგებოდა. როცა ჩამობნელდებოდა, მთვარე და ვარსკვლავები ქალაქს გაანათებდნენ... ასევე იერუსალიმში მაცხოვრებელი ბავშვების ბრდღვიალა თვალები, თბილი ოცნებები...



# მოგზაურობა მტრედის ფრთაზე

თვალები რომ გავახილე, თეთრი მტრედის ფრთებზე ვიყავი. თმებს შორის ქარს ვგრძნობდი. ქვემოთ ჩავიხედე, რომ გამეგო სად ვიყავი და ჩემი ყურადღება კედლებით გარშემორტყმულმა ტერიტორიამ მიიპყრო. ჯერ კიდევ გაოგნებული ვიყავი და რაღაც ხმამ ისევ შემაკრთო:

კედლები, რომლებსაც ხედავ ქუდს-ი შერიფში მოქცეული ძველი ქალაქის ირგვლივ გარშემორტყმული კედლებია. მესჯიდ-ი აქსაში მისასვლელად ძველ ქალაქში უნდა შევიდეთ. ახლა ძველი ქალაქის კარიბჭეებიდან ერთ-ერთიდან, იაფას კარიდან შევალთ შიგნით. მეორე სახელი ელ-ხალილის კარია.



როცა მივხვდი, რომ ეს ხმა მტრედს ეკუთვნოდა, კიდევ უფრო გავოცდი, რადგან ვგრძობდი როგორ მიპყრობდა მისდამი ნდობის გრძნობა. ამავდროულად ძველი ქალაქის ქუჩებს ვათვალიერებდი. მტრედის ნაამბობის მიხედვით, მარჯვენა მხარეს არსებული ქუჩები სომხებისა და იუდეველების ქუჩა იყო. მარცხენა მხარეს კი ქრისტიანებისა და მუსლიმების ქუჩები იყო განლაგებული.

ქალაქის ყოველი ქვა თავის ისტორიას ინახავდა. ამას ვგრძნობდი. ცოტა ხნით სეირნობის შემდეგ მტრედმა თქვა, რომ კატანინში ანუ ბამბის ბაზრობაში შევდიოდით. მცირე მალაზიებით დატვირთული ამ ადგილის ისტორია თურმე მამლუქების პერიოდს სწვდებოდა.



ოსმალების პერიოდში ბამბის წარმოების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპები აქ ხორციელდებოდა. ძველ ქალაქში არსებული ბაზრობების მსგავსად, ამ ბაზრობაზეც მრავალი სხვა აქტივობა ტარდებოდა. მტრედთან ერთად ბაზრობიდან მესჯიდ-ი აქსასკენ მიმავალი კარისკენ მივიწევდით. დიახ, ამ კარიბჭესაც კატანირი ერქვა. მისი სახელი ბაზრობას უკავშირდებოდა.

კარიბჭიდან რომ გამოვედით, ქუბბეთუს-საჰრას მზესავით ბრდღვიალა გუმბათი შემოგვეგება. საოცრად ლამაზი იყო! მე ეს ნაკეთობა ვიცოდი! ეს გუმბათი უმაიადის ხალიფამ აბდულმელიქ ბ. მერვანმა ააგებინა. იმ პერიოდის ერთ-ერთი პირველი, ამ გუმბათის ქვეშ კიდული ქვაა მოთავსებული, რომლიდანაც ჩვენი შუამავალი მირაჯზე ამაღლდა. ნაგებობის ყელის ნაწილში არსებული კერამიკა სულთან სულეიმანმა სტამბოლში სპეციალური შეკვეთით დამზადებული კერამიკით შეცვალა.

ქუბბეთუს-საჰრას მოსალმების შემდეგ მტრედმა ფრთები მარჯვნივ გაშალა. აქ უმაიადების დროს გაკეთებული ქიბლას სამლოცველო იყო. ეს ის სამლოცველოა, ჰზ. ომერმა იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ რომ ააგო. თუმცა, დღეს სამწუხაროდ ჰზ. ომერის საკუთარი ხელებით აშენებული სამლოცველოს კვალიც აღარაა.

ამ ისტორიით სავსე ნაგებობებს გაკვირვებული რომ ვუყურებდი, უცებ მტრედის ხმა მომესმა:

-ახლა შენთან ერთად მიწის ქვეშ დავეშვებით.

-მიწის ქვეს?-ვკითხე გაოცებულმა.

-დიახ, მიწის ქვეშ. ნუთუ არ იცი, რომ მიწის ქვეშაც სამლოცველოა? - მიპასუხა მტრედმა.

არ ვიცოდი!

ქიბლას სამლოცველოს ჩრდილო-დასავლეთით არსებული კიბით დაბლა რომ ვეშვებოდით, მტრედმა გააგრძელა:

-აი ესაა მერვანის სამლოცველო! მესჯიდ-ი აქსას რეკონსტრუქციაში შეტანილი დიდი წვლილის გამო დაერქვა ამ სამლოცველოს ეს სახელი. ჯვაროსნებმა იერუსალიმი რომ დაიპყრეს, ამ ადგილს ბოსლად იყენებდნენ. რაოდენ დასანანია, არა?

-დიახ!- მაშინვე მივუგე. „რამდენად დიდი სამლოცველო ყოფილა!“

მერვანის სამლოცველოს კიბეებიდან რომ ამოვედით და ბილიკზე მესჯიდ-ი აქსას ეზო ისევ დავინახე, მომესმა მტრედმა ჩემი სახელი როგორ წარმოთქვა:

-მეჰმეთ! მეჰმეთ!

თავი მაღლა რომ ავწიე, დედაჩემის სახეს შევეჩეხე:

-დედა, აქ რას აკეთებ?

-შვილო, მაგიდაზე ჩაგძინებია!

-დედიკო, დავალებების წერისას ჩამძინებია. ვერ ვხვდები, როგორ მოხდა. წიგნს ვკითხულობდი იერუსალიმზე.

-მართლა შვილო? დავალებები თუ დაასრულე?

ამ კითხვამ სახეზე უზარმაზარი ღიმილი მომგვარა:

-დიახ დედიკო, ახლა დავასრულე, - მხოლოდ ამის თქმა შევძელი.



# რას ნიშნავს ჩვენთვის იერუსალიმი?

ჩემო ძვირფასო მეგობარო, ამ ტესტით ვუპასუხებთ კითხვას „რას ნიშნავს ჩვენთვის იერუსალიმი?“. ყოველი სწორი პასუხის შემდეგ არ დავივიწყოთ იქაური მეგობრებისა და ოჯახებისათვის შევედრება. კარგი?

რომელია ჩვენთვის მექასა და მედინას შემდეგ მესამე წმინდა ქალაქი?

ა) ალეპო

ბ) იერუსალიმი

გ) ბურსა

ვინ დაგვიტოვა იერუსალიმი ამანათად?

ა) არ ვიცი. სიმართლე რომ ვთქვა, ამაზე არც მიფიქრია.

ბ) იერუსალიმი, ალლაჰისგან მუსლიმებისთვის დატოვებული ამანათია. ამ ამანათს ჰზ. ომერმა (რ.ა.), სელაჰადდინ-ი ეიუბმა, იავუზ სულთან სელიმმა და აბდულჰამიდ ხან II-მ კარგად უპატრონეს.

გ) მხოლოდ პალესტინელების ამანათია.

რომელ ქვეყანაში მდებარეობს იერუსალიმი?

ა) პალესტინაში

ბ) ინდოეთში

გ) ამერიკაში

რას აკეთებენ ჩვენი და-ძმები საკუთარი თავისა და ქალაქების დასაცავად?

ა) მრავალი ქვეყნის მსგავსად, რომლებიც სიტუაციას შეგუებულნი არიან, სიტუაციის დაგმობით შემოიფარგლებიან.

ბ) მხოლოდ ევედრებიან.

გ) ოკუპაციას ეწინააღმდეგებიან. ამავდროულად, ჩვენგან ყოველგვარ დახმარებას, ხელის შეშველებასა და რა თქმა უნდა მათთვის ვედრებას ელოდებიან.

რა ჰქვია იმ წმინდა ადგილს, რომელიც ჩვენი პირველი ქიბლაა, ამავდროულად კი ჩვენი შუამავლის მირაჯზე ამაღლებისას პირველი გაჩერება იყო და თანაც იერუსალიმში მდებარეობს?

ა) მესჯიდ-ი აქსა ბ) სულეიმანიე გ) აია სოფია

რა არის მესჯიდ-ი აქსა და რატომ ააშენეს?

ა) საავადმყოფოა, ომში დაჭრილების სამკურნალოდ ააშენეს.

ბ) მეჩეთია, მუსლიმების ღვთისმსახურებისათვის ააშენეს.

გ) სკოლაა, ბავშვებისთვის გაკვეთილების ჩასატარებლად ააშენეს.

რა მოხდება, როცა პალესტინა ამ ოკუპაციას თავს დააღწევს და იერუსალიმში ისევ მშვიდობა დაიმკვიდრებს?

ა) წმინდა ტაძრები გადარჩება.

ბ) ბავშვები თავისუფლად ითამაშებენ ქუჩებში.

გ) მხოლოდ ტაძრები და ბავშვები კი არ გადარჩებიან, არამედ ყველგან სიმშვიდე დაიმკვიდრებს და ეს სამყარო საცხოვრებლად კიდევ უფრო შესაფერისი გახდება.



ჩემო ძვირფასო მეგობარო, ალბათ ბოლო კითხვასთან მოსვლამდე გაეცი პასუხი კითხვას „რას ნიშნავს ჩვენთვის იერუსალიმი?“. ჩვენი პირველი ქიბლა რა თქმა უნდა ჩვენთვის მობარებული ამანათია... იერუსალიმისთვის ვეცრებას თუ გავაგრძელებთ, ინშაллაჰ (ალლაჰის ნებით) მშვიდ და სანდო ქალაქად იქცევა.

და ბოლოს, სამყაროსთვის იერუსალიმზე რამე რომ გეთქვა, რას ეტყოდი?

იერუსალიმზე ვიტყოდი, რომ...

........................................................................................................

........................................................................................................

........................................................................................................

........................................................................................................

........................................................................................................

........................................................................................................

........................................................................................................

........................................................................................................

# ვედრება



ჩემო ალლაჰო! შენი უსაზღვროდ მადლიერი ვარ, რადგანაც ყველაფრის დასანახად თვალები, ხმების მოსასმენად ყურები და შენთვის ვედრების წარმოსათქმელად ხელები რომ მიბოძე.

ჩემო ალლაჰო! შენ შექმენი ცა, შენ დაატარებ ღრუბლებს ცაზე და წვიმასაც შენ წარმოქმნი ღრუბლებიდან. შენ ცასა და ხმელეთზე არსებული ყველაფერი იცი. ჩემო ალლაჰო, პალესტინაში, იერუსალიმსა და სამყაროს ოთხივე მხარეს მცხოვრები მუსლიმები დაჩაგრულები და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილები არიან. ჩემო ალლაჰო, მუსლიმებს ნუ დაამწუხრებ და გამოუვალ მდგომარეობაში ნუ ჩააგდებ. აარიდე მათ გასაჭირი. დაიხსენი ისინი მჩაგვრელებისაგან.

ჩემო ალლაჰო, მე პატარა ხელები მაქვს, მტრებს ვერ შევაჩერებ, ბომბებს ვერ გავანადგურებ, მაგრამ შენ ყველაფრის ძალა შეგწევს. ჩემო ალლაჰო, მორწმუნეებს დაეხმარე! გაამარჯვებინე! მუსლიმების მჩაგვრელებს ხელს ნუ შეუწყობ!

ჩემო ალლაჰო, მე ჩემი სამშობლო მიყვარს. დაიცავი ჩვენი სამშობლო ბოროტი ხალხისაგან. გააერთიანე ჩვენი სამშობლო. აზანისა და დროშის გარეშე ნუ დაგვტოვებ.

ჩემო ალლაჰო, იმათ რიცხვში მამყოფე, ვინც ლოცვას უწყვეტად ასრულებს და ჩემი ვედრება მიიღე. შეგვიწყალე მე, ჩემი მშობლები და ყველა მორწმუნე განკითხვის დღეს!

აამიინ...

იერუსალიმში არსებული მესჯიდ-ი აქსა მუსლიმების პირველი ქიბლაა. მესჯიდ-ი აქსა, მესჯიდ-ი ჰარემისა და მესჯიდ-ი ნებევის შემდეგ მესამე სამლოცველოა, რომელიც უნდა მოვინახულოთ.

იერუსალიმი წმინდა ქალაქია, რომელშიც მრავალმა შუამავალმა იცხოვრა.

მესჯიდ-ი აქსა, საიდანაც ჩვენი საყვარელი შუამავალი მირაჯზე ამაღლდა, იერუსალიმშია.

ჰეი იერუსალიმო, მოგესალმები წიგნის დახმარებით ჩვენს თვალის ჩინს, იერუსალიმს უფრო ახლოდან გავიცნობთ და იერუსალიმისადმი სიყვარული გაგვიძლიერდება.

ალლაჰს იმას ვევედრებით, რომ იერუსდალიმმა მალევე დაიბრუნოს „დარუ’ს-სელამის“ ანუ „სიმშვიდის, ჰარმონიის სამშობლოს“ სახელით ცნობილი დღეები...

